გილოცავთ, მრავალს დაესწარით!

2016 – არჩევნები:
ახლა კი დროა, ქართველნო, რომ ჭკუას მოუხმოს საქართველომ!..

საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 31 დეკემბერი, 2015 წელი.

№247 (7892)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვერი სიფცვაა, ცეცხლებით და ჭირებით ბერეთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გზებზე ვნახავ...

პატრიარქი – „ხალხის რჩეული“

საქართველოს კულტურის პალატამ სპეციალური ჯილდო „ხალხის რჩეული“ დააწესა. საქართველოში ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგად, პირველი საპატიო ჯილდო სრულიადსაქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს გადაეცა.

დაჯილდოების ცერემონია საპატრიარქოში გაიმართა. უწმინდესსა და უნეტარესს, „ხალხის რჩეულის“ ჯილდო საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტმა დავით ოქიტაშვილმა გადასცა. ღონისძიებას თბილისის საკრებულოს წევრი თედო კობახიძე, მომღერალი ნანი ბერეგვაძე და საზოგადოებისთვის ცნობილი სხვა პირები დაესწრნენ.

„დიდი მადლობა ამ დიდი პატივისთვის. პირველობა ურთულესი მოვალეობაა, პირველი მუდამ სამიზნეა და ამ 38 წლის მანძილზე მე ვიყავი და ვარ სამიზნე. მინდა უფრო მხატვრულად გამოვსახო ჩემი პირველობა. ცხვრის ფარა გინახავთ თქვენ, ცხვარი მიდის და სულ ბოლოში არიან კოჭლები. მეცხვარე შეაბრუნებს ცხვარს და კოჭლები ხდებიან პირველები, აი, ამას მივეკუთვნები მე. პირველობა ძნელია, მაგრამ ვიღაც ხომ უნდა იყოს სამიზნე, ღმერთმა ეს მე მარგუნა. ეკლესიამ რთული გზა გამოიარა, ჩემი პირველ მიზანი იყო გავერთიანებულიყავით. ერთ წინასწარმეტყველს ეუბნება უფალი, შენ ჩასახული არ იყავი დედის მუცელში, როდესაც მე შენ გიცნობდიო, ასე რომ, ჩვენ გვიცნობს უფალი. მადლობელნი ვართ უფლის“, – ბრძანა ილია მეორემ.

ერთხელ მაინც, მაინც უნდა გავიხაროთ!

ეჰ, რას ვიზამთ,
ალბათ, კიდევ გაწვიმდება,
საქართველო მაინც, მაინც
გაბრწყინდება.
ბოროტება
ეშმაკივით გაწბილდება,
საქართველო,
რა თქმა უნდა, გაბრწყინდება.
დრო დადგება —
დროსთან აღარ შეგვეშლება,
ძმა ძმის მტრობას,
რა თქმა უნდა, შეეშვება.
ჩვენმა მტერმა
თავში ტყვია დაიხალოს,
ერთხელ მაინც,
მაინც უნდა გავიხაროთ.
საახალწლო სადღეგრძელოს,
აუ, რა სჯობს,
„საქართველოს რესპუბლიკას“
გაუმარჯოს!

ჯანსულ ჩარკვიანი

საახალწლოდ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“



ასე ზეიმობდნენ თბილისში

მსოფლიოს ხალხთა საახალწლო-საშობაო ტრადიციები

6 თვე – 60 ლარი

გამოიწერე 2016 წლის პირველი ნახევრის 120 ნომერი

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი 66434

პარლამენტმა მთავრობის შემადგენლობა დაამტკიცა

პარლამენტმა პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობა 86 მომხრე ხმით 28-ის წინააღმდეგ დაამტკიცა.

დეპუტატებმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას კენჭი 12-საათიანი მსჯელობის შემდეგ უყარეს.

მთავრობას უმცირესობამ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ მხარი არ დაუჭირეს.

პრემიერი საზოგადოების სხვადასხვა სექტორთან შეხვედრას გეგმავს

ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი სურვილი, უზრუნველვყოთ საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ მთავრობის სხდომის დაწყების წინ განაცხადა.

გუშინ საქართველოს მთავრობის განახლებული შემადგენლობით პირველ სხდომა გაიმართა, რომელსაც პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილი ხელმძღვანელობდა.

მთავრობის მეთაურმა მინისტრთა კაბინეტის წევრებს მიულოცა და წარმატებები უსურვა. გიორგი კვირიკაშვილი გეგმავს, უახლოეს მომავალში შეხვდეს საზოგადოების სხვადასხვა სექტორს, მათ შორის ბიზნესისა და არასამთავრობო წრეების წარმომადგენლებს.

„უახლოეს მომავალში დავიწყებთ შეხვედრებს საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან. მინდა, ვთხოვო ბიზნესომბუდსმენ გიორგი გახარიას, რათა უახლოეს მომავალში გაუკეთოს ორგანიზება შეხვედრას საქმიან წრეებთან. მინდა, რომ შეხვედრაზე იყვნენ არა მხოლოდ მსხვილი ბიზნესმენები, არამედ მოვიწვიოთ ახალი სახეები, ძალიან ბევრი ახალი მეწარმე და ბიზნესმენია და მინდა, მათ შევხვდე. ასევე, უახლოეს დღეებში შევხვდებით არასამთავრობო სექტორს და მოვისმენთ მათ წინადადებებს, თუ როგორ გავხადოთ ჩვენი მუშაობა უფრო ეფექტიანი და გამჭვირვალე,“ — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

ქუმსიშვილის წინასაახალწლო დაპირება, ანუ აშენებულა საქართველო!

მთავრობის სხდომაზე ნოემბრის თვის მონაცემები წარმოადგინა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა. მინისტრი იმედოვნებს, რომ წელს მშპ-ის 3%-იანი ზრდა იქნება.

„სტატისტიკის ეროვნულმა სააგენტომ გამოაქვეყნა მთლიანი შიდა პროდუქტის წინასწარი ზრდა, ეს არის 5,3%, რაც ნოემბრის თვის ძალიან კარგი მაჩვენებელია. წლიური გადაანგარიშებით ეს ნიშნავს, რომ ჩვენ 3%-იან ზრდაზე გავალთ წლევანდელ წელს. არის რამდენიმე დარგი, სადაც განსაკუთრებით დიდი ზრდა გვაქვს: მშენებლობა — 30%-იანი, მეტალურგიული პროდუქტების წარმოება — 30%-იანი, სამთო მოპოვებითი მრეწველობა 15 %-იანი ზრდა, სასტუმროებში და რესტორნებში გვაქვს 10%-იანი და საფინანსო შუამავლობაში გვაქვს 9%-იანი ზრდა,“ — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

„ია ტაკ დავეზუ, ჩტო ტებე ბუდეტ პრიატნო“

საძართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ხერგიანმა საერთაშორისო მნიშვნელობის ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. აღნიშნული გზის 15-კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ორ ობიექტად ახორციელებს.

პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგზაო მონაკვეთების სავალ ნაწილს. მოეწყობა ხელოვნური ნაგებობები, საყრდენი კედლები, ადგილობრივ გზებთან მიერთებები, მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები, ასევე, ავტობუსის გასაჩერებელი მოედნები და ავტოპავილიონები. ავტოტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველსაყოფად დამონტაჟდება საგზაო ნიშნები და მოინიშნება გზის სავალი ნაწილი. ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზა ქვემო ქართლის რეგიონსა და სომხეთის რესპუბლიკას თბილისთან უმოკლესი მანძილით აკავშირებს.

სარეაბილიტაციო სამუშოები 2015 წლის ნოემბერში დაიწყო და 2016 წელს დასრულდება. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 19 მილიონ 78.2 ათასი ლარია.

მიხეილ სააკაშვილმა პოროშენკოს გადაუჯოკრა

ოდესის ადმინისტრაციული ოლქის ხელმძღვანელი მიხეილ სააკაშვილი უკრაინელმა ექსპერტებმა უკრაინის წლის პოლიტიკოსად დაასახელეს.

როგორც უკრაინული მედია იუწყება, სააკაშვილმა პოლიტოლოგების ხმათა რაოდენობით ჩამოიტოვა ქვეყნის პრეზიდენტი პიოტრ პოროშენკო.

გამოკითხვის შედეგები ჟურნალისტებს პოლიტიკის ანალიტიკოსმა მარია ზოლკინამ გააცნო.

„2015 წლის ყველაზე წარმატებული პოლიტიკოსები ექსპერტული საზოგადოების მოსაზრებით, გახდნენ მიხეილ სააკაშვილი — 58-დან 29 ექსპერტი და პიოტრ პოროშენკო — 22 ექსპერტი. ლიდერების სამეულში ასევე შევიდა იულია ტიმოშენკო. მეტ-ნაკლებად წარმატებული პოლიტიკოსები ამ წელს გახდნენ არსენი იაცენიუკი — 18 ექსპერტი და ოლეგ ლიაშკო-11“, — განაცხადა ზოლკინამ.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● გივი თარგამაძეს იმდენი აქვს ნაჭამი, მარტო აღიარებები დარჩა.

● დარწმუნებული ვარ მთელს შინაგან საქმეთა სამინისტროს უმცროს და საშუალო შემადგენლობას ბანკების დაყაჩაღება გულში უხარიათ (მეც).

● აბა, თუ მისვდებით თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს შესყიდვების სამსახურის უფროსმა ლექსო თოდუამ რა მიზეზით ახსნა საბავშვო ბაღების საახალწლო საჩურების გარეშე დატოვება (დაგვიანება)? საახალწლო ღონისძიებებმა და გზებზე გადატვირთულმა მოძრაობამ შეგვიშალა ხელიო.

● გიგწყალების“ ხელმომწერთა სიამ გამაოცა. გამიკვირდა ისეთი ადამიანების სახელ-გვარები ამოვიკითხე, თან ძალიან. ზოგადად მისასალმებელია ადამიანების მიმართ ჰუმანურობა, ადამიანობა, მიტევება, მაგრამ არა მკვლელების ბანდის წევრების და ბიუჯეტის წურბელების ... ხელისუფლებისთვისაა ცუდი მაგალითი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. სხვებსაც ჰყავდათ ოჯახი და მოსიყვარულე შვილები, ნაცებისგან რომელ გაუბედურებულზე ამოიღო ხმა უგულავამ კაბინეტში რო იჯდა და მსოფლიოს კრუგებს ურტყამდა ოჯახთან ერთად ჩვენი ფულებით?

ტყემალაძეც ევროპისკენ ისწრაფვის თურმე!

ეს-ესაა გამოტყდა!

● ორი წერეთელია საქართველოს პარლამენტში და ორი აკაკი (ბობოხიძე და მინაშვილი). არადა, რაც არ უნდა შეურიო ერთმანეთში და აჯანჯღარო, ერთი აკაკი წერეთელიც არ გამოვა არაფრით.

● რესპებს პარტიის დროშაზე რქები და ჩლიქები რომ არ მიეხატათ, ისე ვერ მისვდებოდნენ, ვინც არიან?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ თანამშრომლობა

2015 წელი ენერგეტიკული ბრძოლით სრულდება

რეგიონში პირველობისთვის თანდათან ენერგეტიკული ბრძოლა პიკს უახლოვდება. „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ მზადაა, „გაზპრომს“ საქართველოში კომერციული გაზის მიწოდებაზე კონკურენცია გაუწიოს. „გაზპრომი“ დღითი დღე აქტიურდება. მასთან ერთად ირანიც აძლიერებს ენერგოპოლიტიკას.

აზერბაიჯანული „სოკარის“ კომპანიის გენერალური დირექტორი მაირ მამედოვი ამტკიცებს, რომ ქართული ბაზარი არც ისეთი დიდია, რომ აქ განსაკუთრებული კონკურენცია გაჩაღდეს.

„ჩვენ ვიცით, რომ სოციალური გაზის მოხმარება წელიწადში მაქსიმუმ 2,3-2,4 მლრდ კუბური მეტრია. აქ ფასები საკმაოდ დაბალია და არ იცვლება. დევალვაციის მიუხედავადაც ბუნებრივი აირის ღირებულება არ შეცვლილა და არც არავინ ფიქრობს მის გადახედვაზე ჩვენს კომპანიაში. კომერციული გაზის მოცულობა 900-950 მლნ კუბური მეტრია. ეს თავისუფალი ბაზარია, ჩვენ მზად ვართ, ნებისმიერ დროს ამ კონკურენციისთვის“, — განაცხადა მაირ მამედოვმა.

განცხადება, რომ „სოკარი“ „გაზპრომთან“ კონკურენციისთვის მზადაა, მამედოვმა რამდენიმე კვირის წინათ აზერბაიჯანულ მედიაშიც გააკეთა. მან აღნიშნა, რომ საქართველოში რუსული ბუნებრივი აირის მარაგის შესაძლო ზრდა ქვეყნის ბაზარზე კონკურენციის დონეს გაზრდის. საქართველოსა და „გაზპრომს“ შორის მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაცია რამდენიმე თვის წინათ გავრცელდა. „კომერსანტის“ ინფორმაციით, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ „გაზპრომის“ ხელმძღვანელობასთან რამდენიმე შეხვედრა გამართა, თუმცა ქართული მხარე აცხადებს, რომ საქართველო არ განიხილავს აზერბაიჯანულ გაზზე უარის თქმის საკითხს.

საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, „გაზპრომი“ საქართველოსთან სომხეთში ბუნებრივი აირის ტრანზიტის გაზრდას და გაზის თავად თბილისისთვის მიწოდებას განიხილავს. ტრანზიტის მოცულობის ზრდა რუსულ მონოპოლიას სომხეთში, რაზდანის თბოელექტროსადგურის დატვირთვისთვის ესაჭიროება, საქართველო კი, თავის მხრივ, აზერბაიჯანიდან ვერ იღებს საკმარის ბუნებრივ აირს მოპოვების პრობლემის გამო.

აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია „სოკარმა“ 2015 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოში 1,25 მლრდ კუბური მეტრი გაზის ექსპორტი განახორციელა.

„საქართველოში ყოველდღიურად, საშუალოდ, 3,74 მილიონი კუბური მეტრი გაზის ექსპორტი ხორციელდებოდა. მთლიანობაში ექსპორტის მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე გასული წლის იანვარ-ნოემბერში, როდესაც 1,1 მილიარდი კუბური მეტრი გაზი იყო ექსპორტირებული“, — აღნიშნავს აზერბაიჯანული სააგენტო „ტრენდი“.

ამავე ინფორმაციით, 2016 წელს “სოკარი“ არ აპირებს საქართველოში გაზის მიწოდების მოცულობის შეცვლას.

„ეს მაჩვენებლები წლევანდელ დონეზე შენარჩუნდება, რადგან დაკონტრაქტებული მოცულობა საქართველოს მოთხოვნიდან გამომდინარე უმნიშვნელოდ იცვლება“, — აღნიშნავს „ტრენდი“.

ამასობაში 23 დეკემბერს ერევანში სომხეთის, ირანისა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრების შეხვედრა შედგა, რომელშიც „რუსული ელექტროქსელების“ გენერალური დირექტორიც მონაწილეობდა. მხარეებმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რომელიც ითვალისწინებს საკოორდინაციო საბჭოს შექმნას. ასე რომ, მჭიდრო ენერგეტიკული თანამშრომლობის პირველი ნაბიჯი გადადგმულია.

2018 წლისთვის ირანი, სომხეთი, საქართველო და რუსეთი ელექტროენერგიით ვაჭრობის ახალ სისტემაში იქნებიან გაერთიანებული, რომლის მეშვეობითაც წელიწადში დაახლოებით 1200 მეგავატი ელექტროენერგიის გაცვლას მოახდენენ.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის კახა კალაძის თქმით, საქართველომ საკუთარი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა სრულად უნდა გამოიყენოს.

„მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა. ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ, განსაკუთრებით გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში, საქართველოში ჭარბი ელექტროენერგიის სიჭარბისას გავიტანოთ იგი ირანის მიმართულებით. მოგეხსენებათ, ამ დროისთვის ირანს დიდი დეფიციტი აქვს. მოთხოვნა არის ძალიან დიდი ირანულ ბაზარზე და ჩვენ გვექნება შესაძლებლობა, სომხეთის გავლით გავიტანოთ ენერგია მომავალში არა მხოლოდ თურქეთის, არამედ ირანის მიმართულებითაც. მემორანდუმის საშუალებით ასევე გვექნება საშუალება, რომ ზამთრის პერიოდში, მაშინ როდესაც ჩვენ გვაქვს დეფიციტი, ელექტროენერგია შემოვიტანოთ ირანიდან“, — ამბობს კახა კალაძე.

მართალია, ამჯერად საქმე მხოლოდ ელექტროენერგიას ეხება, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს მხოლოდ დასაწყისია.

ბექა დანელია

◎ ხან ისე და ხან — ასე?!

დაარღვია თუ არა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა კანონი?

ეკა ბესელია აცხადებს, რომ მარგველაშვილის ცოლისძმის შეწყალების საკითხი შესასწავლია

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიერ თავისი მეუღლის მაკა ჩიჩუას ძმის შეწყალების წესით სასწრაფოდ გათავისუფლებაზე ალაპარაკდა. სხვათა შორის, ბესელია ამ საქმით განსაკუთრებით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ელისაშვილის შეტყობინებების ნახვა დაადასტურა. ამის შესახებ ბესელიამ „ქართულ გაზეთთან“ ინტერვიუში განაცხადა.

ბესელია ამბობს, რომ პრეზიდენტის მეუღლის ძმა, რომელიც 2011 წლის 4 მაისს, ჯგუფური, განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 19,109 მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გაასამართლეს და 17 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, თავისუფალია. ის პრეზიდენტმა სასწრაფოდ, შეწყალების წესით გაათავისუფლა.

„მე ვიცი ერთი ოჯახი, რომელიც სერიოზულ პრეტენზიებს აყენებს, რადგან პრეზიდენტის მეუღლის ძმა, რომელსაც 17 წელი ჰქონდა მისჯილი, და სულ სამი წელი ჰქონდა მოხდილი, სასწრაფოდ გაათავისუფლა შეწყალების წესით პრეზიდენტმა. მაშინ ახალი დანიშნული იყო ელისაშვილი. ის ოჯახი ძალიან სერიოზულად აპროტესტებს ამას და ითხოვს ამ თემებზე საჯარო განცხადებებს. ერთ-ერთი კითხვა, მაგალითად, არის, რა კრიტერიუმებით მიიღეს ეს გადაწყვეტილება, იყო სხვა რაიმე მოტივაცია თუ არა. მაკა ჩიჩუას ძმაზეა საუბარი. არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც მივიდა ეს ოჯახი, ანუ დაზარალებული ოჯახი. მეც დამიკავშირდა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია და ითხოვა ამ ფაქტზე ჩემი რეაგირება. მე უბრალოდ ვსვამ საკითხს, რომ შევისწავლოთ ეს გარემოებაც, ისევე როგორც სხვა ფაქტები: რა სტანდარტებით ხდებოდა შეწყალების კომისიის მიერ გადაწყვეტილებების მიღება“, — განაცხადა ბესელიამ.

იურისტების თქმით, კანონის თანახმად, ასეთი მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, მსჯავრდებული პირი, ამნისტიის შედეგად, სასჯელისგან სრულად ვერ გათავისუფლდებოდა. მას სასჯელი მხოლოდ 1/4-ით შეუმცირდებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის ციხეს კიდევ 7 წელი (ისიც სასჯელის არა 1/4-ით, არამედ განახევრების შემთხვევაში) ვერ დატოვებდა.

ეკა ბესელია ამ საკითხით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ 2014 წლის გაზაფხულზე ის ელისაშვილს შეხვდა, მან უთხრა, რომ მასზე ზეწოლა მიმდინარეობდა, პრეზიდენტმა კი უპასუხა, რომ თუ ვინმე მასზე ზეგავლენას შეეცდებოდა, მაშინვე მასთან გადაემისამართებინა:

„2014 წლის გაზაფხულზე შევხვდი ალეკოს. მან დააფიქსირა პოზიცია, რომ მასზე ხდება ზეწოლა. ჩემი პასუხი იყო მარტივი — ვუთხარი, რომ, თუ ვინმე შენზე ზეგავლენას შეეცდება, იმწუთას გადმოამისამართე ჩემთან-მეთქი. ამით ეს თემა დავამთავრეთ. დანარჩენ დეტალებზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დავავალე, რომ ამ საკითხისთვის მიეხედა. გიდასტურებთ, რომ შეწყალების კომისიის მაშინდელი თავმჯდომარე და ჩემს მიერ ნდობით აღჭურვილი ადამიანი ალეკო ელისაშვილი, რომელსაც მე ვიცნობ, როგორც ძალიან პატიოსან ადამიანს, შემოვიდა, პრობლემა შემოიტანა და მე ეს პრობლემა გადავჭერი. ეს იყო 15-წუთიანი თემა“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ე.წ. კოკაინის საქმესთან დაკავშირებით საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა და ყოფილმა შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ალეკო ელისაშვილმა განაცხადა, რომ მასზე ზეწოლას ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია და პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ახორციელებდნენ.

◎ რეალური საფრთხე

თუ ბერძნები დააჩოქეს, ჩვენი ჯერიც დადგება?..

„ევერიონი“ საბერძნეთში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე და ამ თვალსაზრისით საქართველოსთვის მოსალოდნელ საშიშროებაზე, ჯვართამალლების ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ თეოდორე გიგნაძეს ესაუბრა.



— მამაო, საბერძნეთის პარლამენტმა ოფიციალურად დააკანონა ერთსქესიანთა ქორწინება. საბერძნეთი, ჯერჯერობით ერთადერთი მართლმადიდებლური სახელმწიფოა, ვინც სოდომ-გომორის გზას დაადგა. ხომ არ არის ეს სამყაროს დასასრულის დასაწყისი, ანუ, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით — ხომ არ გვაქვს საქმე ათონის მთის ჩაძირვის მოლოდინთან, რომელსაც წმინდა წერილებში ხშირად იმოწმებენ?

— ეს ფაქტი ძალიან აღმაშფოთებელია. რბილად, რომ ვთქვათ, ეს იქნება ძალიან ცუდი და, შეიძლება ითქვას, საბედისწერო ფურცელი საბერძნეთის ისტორიაში. ჩემთვის ყოველად გაუგებარია, როგორ შეიძლებოდა მოსვლოდა ეს ჭეშმარიტად მართლმადიდებელ ბერძენ ხალხს?!

თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ევროპაში, ევროკავშირში გვინდა, საბერძნეთის პარლამენტის უღმერთო გადაწყვეტილება ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ როგორ ახვევენ თავს მართლმადიდებლებს მსგავს საშინელებას — მხედველობაში მაქვს ერთსქესიანთა ქორწინება. ვინც საბერძნეთის ისტორიას და მის კულტურას იცნობს, დამეთანხმება, რომ ეს ბერძენი ერისთვის შინაგანად მიუღებელი გადაწყვეტილებაა.

თუ ოდესმე ქართველი ერი არჩევანის წინაშე დადგება: მართლმადიდებლობა თუ ევროკავშირში გაწევრიანება, ჩვენ აქედანვე უნდა გვქონდეს მტკიცე არჩევანი, რა თქმა უნდა მართლმადიდებლობის, ჩვენი საკუთარი იდენტობის სასარგებლოდ!

— კარგად ვიცნობ ბერძენ ხალხს, მათ კულტურას, სარწმუნოებას, შესაბამისად ვერ წარმომიდგენია, რომ ბერძენი ერი მასიურად იყოს ამაზე თანახმა. ანუ, რა ხდება, ძალადობაა ბერძენ ხალხზე?!

— საბერძნეთი საბერძნეთად, მაგრამ ანალოგიური საშიშროების წინაშე დგას მართლმადიდებლური საქართველოც...

— შეძლებენ, თუ არა მსოფლიო წესრიგის მესვეურები საქართველოს საბოლოოდ დაჩოქებას? ანუ, მოსალოდნელია, თუ არა საქართველოშიც ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება?

— ცხადია, მართლმადიდებლური საქართველოც დგას ანალოგიური საშიშროების წინაშე, ანუ, ანალოგიური პერსპექტივის მოლოდინი უნდა ვიყოთ. ამ ძალადობის წინააღმდეგ ქართველ კაცს შინაგანი ამბოხი თუ არ ექნა, საქართველოც საბერძნეთის ბედს გაიზიარებს!

თუ ვინმე ფიქრობს, რომ ბერძენი ხალხი ნაკლებად მართლმადიდებელია და ნაკლებად მტკიცეა რწმენაში, ვიდრე, ჩვენ, ძალიან ცდება. მე არ მეეჭვება, რომ ბერძნები ღრმად არიან რწმენაში. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მათ რწმენაში გასაძლიერებლად წმინდა ათონის მთაც ეყოფათ, სადაც ღვთივკურთხეული მამები დღესაც მოსაგრეობენ!

დიახ, ჩვენ არ გვაქვს ისეთი მონასტრები, როგორიც ბერძნებს და არ გვაქვს განვითარებული ისეთი ღვთისმეტყველება და თავისუფლება ქრისტეში, როგორც მათ. ამიტომ, თუ ბერძნები დააჩოქეს, ჩვენს დაჩოქებასაც მოინდომებენ!

ესაუბრა
კარინა გრიგორიანი

◎ მეკვლის კვალდაკვალ

„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი — კვალი ანგელოზისა! წელი სიკეთე-სათნოებისა, მშვიდობისა, ბარაქისა, სიყვარულისა, გამრავლებისა! ღმერთმა დაგლოცოთ კაც-დიაცით, თქვენი შვილებით, აკვნების სიმრავლით, ბურ-ღვინის დაძველებით, ზვარ-ყანების სიდიდით, ცხვარ-ძროხის სიმრავლით, კარგი სტუმრითა და ყველა მოკეთითი! მრავალ ახალ წელს!“ — საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მიუხედავად საახალწლო ტრადიციების მრავალფეროვნებისა, თითქმის ყველგან ასე ულოცავს მეკვლე ახალ წელს ოჯახს.

მეკვლე — ზოგან მას მეფეხეს, მეფეხურსაც უწოდებენ — ის ადამიანია, რომელიც ახალი წლის დადგომის შემდეგ პირველი შეაღებს ოჯახის კარს. მეკვლეობის ტრადიცია საქართველოში ოდითგანვე არსებობდა და მას ერთხანს საკრალურ მნიშვნელობასაც კი ანიჭებდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ სწორედ პირველი სტუმრის ფეხზე იყო დამოკიდებული მომავალი წლის ავკარგიანობა.

ქართლ-კახეთი

აღმოსავლეთ საქართველოში ახალი წლის წინა დღით ოჯახში აუცილებლად მოიტანდნენ წყაროს უმძრახ წყალს და ეზოში მოასხამდნენ. მეკვლე ოჯახის უფროსი ან მოწვეული სტუმარი იყო, რომელიც ახალი წლის დადგომის შემდეგ ოჯახში ხელდამშვენებული შედიოდა: მიჰქონდა დედას ბურები, ყველი, ხორცი, ღვინო, გოზინაყი, ხილი, ჩურჩხელა და მარცვლეული. ზოგჯერ ცოცხალი ქათამიც მიჰყავდა. გადააბიჯებდა თუ არა მეკვლე ზღურბლს, მიმოაბნევდა ხორბლის, სიმინდის ან ქერის მარცვალს, რათა ახალი წელი ხვავიანი და ბარაქიანი ყოფილიყო.

სვანეთი

სვანეთში განსაკუთრებით ერიდებოდნენ ახალი წლის წინა დღეებში სტუმრად სიარულს, კლავდნენ საახალწლოდ გასუქებულ ღორს, რომელსაც მეისარაი ერქვა, აცხობდნენ ბურებს ჯვრების გამოსახულებით და ტკბილ კვერებს. როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, მეფეხეს ღამე გარეთ უნდა გაეთია, რათა ოჯახში განწმენდილი შესულიყო და კარგი ფეხი შეეტანა. ოჯახის უფროსს აქაც თავისი საქმე ჰქონდა: ალიონზე უნდა ამდგარიყო, საქონლისთვის მიეხედა, მერე კი სანთლებით ხელში შესულიყო შინ და ოჯახი დაელოცა.

◎ ინფორმაცია

ცხინვალი საახალწლოდ ადმინისტრაციულ საზღვარს ჩაკეტავს

31 დეკემბერსა და 1 იანვარს ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარს ჩაკეტავს. დე ფაქტო პრეზიდენტი თიბილოვი ამას საახალწლო დღესასწაულებით ხსნის. აცხადებს, რომ გადაწყვეტილება „საქართველოს ტერიტორიაზე ისლამური სახელმწიფოს მებრძოლთა ყოფნის შესახებ“ ინფორმაციას უკავშირდება. რა ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებს დე ფაქტო რეჟიმის წარმომადგენელი რომ, ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები ე.წ. საზღვარზე პროვოკაციებს გეგმავენ, განმარტებები არ გაკეთებულა.

მედიანიუსი

წინ უნდა ვიხედებოდეთ!

ახალმა პრემიერმა დროის დეფიციტი უნდა დაძლიოს!

ღარიბაშვილისთვის რომ მიეცათ საშუალება, ნელ-ნელა გაევლო პოლიტიკაში საფეხურები, ბრწყინვალე სახელმწიფო მოღვაწე იქნებოდა

ახალი პრემიერის გიორგი კვირიკაშვილის გზავნილები რადიკალურად განსხვავდება ყოფილისგან. ხისტი ტონის ნაცვლად, კვირიკაშვილი გაცილებით ლმობიერია პრეზიდენტის მიმართ. პოლიტიკური პრაგმატიზმი და დაზავების მცდელობა მარგველაშვილთან?! რა განასხვავებს ყოფილ და მოქმედ პრემიერებს?

ამ საკითხთან დაკავშირებით პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე გვესაუბრება.

— ყოფილისა და მოქმედი პრემიერების გზავნილები რადიკალურად განსხვავებულია. კვირიკაშვილი ამბობს, რომ მარგველაშვილი თავის რეზიდენციაში იმყოფება და მისი გამოსახლების საკითხი არ უნდა დაისვას, რომ 2013 წელს ხელისუფლების დაპირებები ხშირად გადაჭარბებული იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვინმემ ვინმე გადააგდო. ხომ არ ფიქრობთ, რომ ივანიშვილმა მარგველაშვილთან ურთიერთობის დათბობა არჩია კვირიკაშვილის საშუალებით?

— ალბათ, გახსოვთ, პრეზიდენტმა თქვა, რომ მას ძალიან კარგი ადამიანური ურთიერთობა ჰქონდა ღარიბაშვილთან და როდესაც ისინი ხვდებოდნენ, ეს იყო ნორმალური ურთიერთობა. მეორე იყო ინსტიტუციონალური ურთიერთობები, რომელიც მაინცდამაინც ვერ დალაგდა. პრეზიდენტი არასდროს არ გასულა კონსტიტუციის ჩარჩოებიდან, ის მოქმედებდა იმ უფლებამოსილებაში, რა უფლებამოსილებაც ჰქონდა. სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ დამოკიდებულება მარგველაშვილის მიმართ მთლად ადეკვატური არ იყო. ამიტომ ღარიბაშვილის პიროვნულ თვისებებს ამას ვერ დავაბრალებთ, რადგან ამ გუნდში კვირიკაშვილიც იყო. ამას ხაზს ვუსვამ, რადგან კვირიკაშვილის პოზიციის ცვლილება ნიშნავს „ქართული ოცნების“ პოზიციის ცვლილებას პრეზიდენტის ინსტიტუტისა და პირადად მარგველაშვილისადმი.

როგორც იქნა, მიხვდნენ, რომ ეს დამაზარალებელი იყო ქვეყნისთვისაც და შემდეგ თავად „ქართული ოცნებისთვის“. როგორც არ უნდა გაათეთრონ, მაინც ხდებოდა პრეზიდენტის ინსტიტუტის იგნორირება, ვინმეს მოსწონს მარგველაშვილი თუ არა, ეს სხვა საკითხია. ამიტომ კვირიკაშვილის პოზიცია განსხვავდება ღარიბაშვილისეულისგან, თუმცა აქ მგონია, გადამწყვეტ როლს თამაშობს არჩევნები.

საარჩევნოდ „ქართული ოცნების“ დამოკიდებულება პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი უფრო ლოიალურია. არ ვთვლი, რომ „ქართულ ოცნებაში“ კომპრომისი მოხდა, რომ მათ უკან დაიხიეს. მაინც მგონია, რომ ადამიანები ვართ, რაღაცნაირად შეცდომას ვუშვებთ, მაგრამ მთავარია, შეგვეძლოს ამ შეცდომის გამოსწორება. ძალიან გამიჭირდება შეფასება, კვირიკაშვილის პიროვნულ თვისებებზე ვერ ვილაპარაკებ, რადგან მას არ ვიცნობ.

— გამარჯვებული ადამიანები ასე იოლად არ მიდიან პოლიტიკიდან. მაჟორული ბრიფინგის შემდეგ ღარიბაშვილის წასვლა მოულოდნელი იყო. ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ ის განაწყენებული წავიდა, ზოგი კი თვლის, რომ ამ საქმეში უსუფაშვილ-ხიდაშელის ტანდემი იკვეთება, რომლებიც ცდილობდნენ, მოეშორებინათ ყოფილი პრემიერი.

— არა მგონია, ღარიბაშვილი თავისი სურვილით გადამდგარიყო. როგორც ჩანს, გუნდში იყო პრობლემები. მე ამას ვუკავშირებ არჩევნებს. სხვა საკითხია, დეკემბერში უნდა გადამდგარიყო თუ თებერვალში. აჯობებდა, ეს თებერვალში მომხდარიყო და არა დღეს, მაგრამ ეს აუცილებელი იქნებოდა არჩევნებამდე. სულაც არ ვადანაშაულებ ღარიბაშვილს ამ ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, რადგან ასეთივე ვითარება იყო 2012 წელსაც, როცა „ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში და გაცილებით მძიმე მდგომარეობაა დღეს. ზოგადად, ბევრი პრობლემაა ქვეყანაში და, ვინც არ უნდა ყოფილიყო პრემიერად, სამი წელი არ იყო დიდი დრო. ცუდად არ ვაფასებ ღარიბაშვილის მუშაობას, მაგრამ ფაქტია, „ოცნების“ რეიტინგი ეცემა და „ოცნებას“ სჭირდება ახალი იმიჯის შექმნა.

რაც შეეხება „რესპუბლიკელების“ მცდელობას, მოეშორებინათ ღარიბაშვილი, არ ვიცი, რაში გამოიხატა ეს. მე ამას ვერ ვხედავ. ხიდაშელმა ერთი-ორი განცხადება გააკეთა და მაშინაც ვთქვი, სჯობს, მოზომილი განცხადებები გაკეთოს-თქო, ეს გაიმეორა ღარიბაშვილმაც და არა მგონია, ეს პრობლემატური ყოფილიყო. მეორე მხრივ, არც ხიდაშელ-უსუფაშვილს, არც მთლიანად „რესპუბლიკურ პარტიას“ ისეთი გავლენა არ აქვს „ქართული ოცნების“ კოალიციაზე, რომ მათ შეძლონ პრემიერის გადაყენება. „რესპუბლიკელები“ მაინც უმრავლესობის უმცირესობაში არიან.

— მაგრამ საკვანძო პოსტები მათ უჭირავთ.

— კი, ეს პოსტები უჭირავთ მანამ, სანამ ეს უმრავლესობის უმრავლესობას ან კოალიციის ლიდერს სურს. როგორც კი გაჩნდება კითხვის ნიშანი, ერთი წუთი დასჭირდება მათ ჩამოშორებას. თავის დროზე არანაკლები პოსტები ეკავათ „თავისუფალ დემოკრატებს“, მაგრამ ერთ დღეში დამთავრდა „თავისუფალი დემოკრატების“ ყოფნა აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ასე რომ, პოსტებს, თუ ის საპარლამენტო მმართველობის დროს გამაგრებული არ არის უმრავლესობის მხარდაჭერით, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

— ივანიშვილ-მარგველაშვილს შორის არცთუ თბილი დამოკიდებულების შესახებ ყველასთვის ცნობილია. კვირიკაშვილის დანიშვნით არაფორმალური ლიდერის მმართველობის ხანა ხომ არ სუსტება?

— არა მგონია, რაიმე სუსტდებოდეს. უბრალოდ, მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც კინკლაობაა ორ შტოს შორის, ყოველთვის წამგებიანი რჩებოდა აღმასრულებელი ხელისუფლება და არა პრეზიდენტი. აქ პოლიტიკურ ქულებზეა ლაპარაკი. ამიტომ ეს არ იყო ღარიბაშვილის პირადი ინიციატივები, ეს იყო გუნდის გადაწყვეტილება.

— თუმცა ეს დათბობა დროებითი იქნება და მხოლოდ არჩევნებამდე გასტანს?

— არჩევნებამდე აუცილებლად გაგრძელდება. უფრო მეტიც, ვფიქრობ, ეს პრობლემა საერთოდ მოიხსნება არჩევნების შემდეგ. ნელ-ნელა უნდა მივეჩვიოთ, რომ არსებობს კანონი, არსებობს გადაწყვეტილებები და უნდა შევეგუოთ ამ კანონებს. მე ვფიქრობ, უმრავლესობას მიიღებენ, მაგრამ ზუსტი პროგნოზირება რთულია, მაინც ერთი წელია დარჩენილი არჩევნებამდე. უნდა ვნახოთ, არჩევნების შემდეგ რა ძალა ექნება „ოცნებას“ იმავე პარლამენტში. მეორეც, ქვეყანაში იმდენი პრობლემაა, პრეზიდენტი იქნება იმ სასახლეში თუ არა, ამაზე დროის ხარჯვა ფუჭია. კიდევ მოდის არჩევნები და 2018 წელს, როდესაც პრეზიდენტის ვადა დასრულდება, ალბათ, „ქართული ოცნება“ მას აღარ დაასახელებს კანდიდატად.

> **იმ ბაზით, რითაც ღარიბაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ ყველაფერს. გაცილებით უარესის მოლოდინი მქონდა, ვთვლი, რომ ღარიბაშვილმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთა, რასაც გუნდი მისგან ითხოვდა. ვერ გააკეთა ის, რასაც ითხოვდა საზოგადოება, მაგრამ არა მგონია, ეს ღარიბაშვილის ბრალი იყოს. სიხისტე კი მისი ახალგაზრდული ასაკიდან, გამოუცდელობიდან და მიღებული მემკვიდრეობიდან გამომდინარეობს.**

— დავუბრუნდეთ პრემიერების თემას. ბიძინა ივანიშვილი პრემიერობის დროს მოვლენებს სახელებს პირდაპირ არქმევდა. გვახსოვს მისი შეხვედრა ექსპერტებთან, ჟურნალისტებთან. მისი გადადგომის შემდეგ რამდენად თანმიმდევრული იყო ღარიბაშვილის და შემდეგ უკვე კვირიკაშვილის დანიშვნა? ღარიბაშვილის სიხისტეში ხომ არ იყო პრობლემა, რადგან პოლიტიკა მაინც არაგულწრფელობის ელემენტებს შეიცავს.

—პოლიტიკა შეიცავს იმ ელემენტებს, რომელი ელემენტების გამტარებელიცაა თავად პოლიტიკოსი. არა მგონია, ღარიბაშვილი დამოუკიდებლად მოქმედებდა. ვფიქრობ, მან ინერციით გააგრძელა ის სტილი, რაც დატოვა წინა პრემიერმა. თქვენ ახსენეთ ხისტი დამოკიდებულება და მართლაც იყო ეს დამოკიდებულება. როცა ივანიშვილი გადადიოდა სამოქალაქო სექტორში, ის პირობას იძლეოდა, რომ ძალიან მალე საქართველოში ექსპერტთა და ჟურნალისტთა ახალი პლეადა გაჩნდებოდა. იმ პერიოდში მივესალმებოდი ამას, მაგრამ არც ექსპერტობა და არც ჟურნალისტობა მარტო ფულის აღებას და სწავლას არ ნიშნავს. ადამიანს კიდევ რაღაც შიგნით უნდა ჰქონდეს. ორი წელი გავიდა და ვერც ჟურნალისტთა ახალ თაობას ვხედავ, რომელიც ყველაფერს წერტილს დაუსვამდა და ვერც ექსპერტთა გაძლიერებულ რაზმებს. ეს პოზიცია, რაც ივანიშვილს ჰქონდა ექსპერტთა და ჟურნალისტთა მიმართ, არასწორი იყო. ასე ხელოვნურად სამოქალაქო საზოგადოების შექმნა ვერ ხერხდება. როცა ღარიბაშვილმა ეს სტილი გააგრძელა, უფრო დიდი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა. ივანიშვილს დიდი ავტორიტეტი აქვს მოსახლეობაში და არასამთავრობო თუ სხვა სექტორთან მის ხისტ დამოკიდებულებას ხალხი პატიობდა, ხოლო ღარიბაშვილს ასეთი დამოკიდებულება, უბრალოდ, არ აპატიეს. ღარიბაშვილი პოლიტიკაში ახალგაზრდულ ასაკში ჩაერთო, მას არ ჰქონდა ეს გამოცდილება. იმ ბაზით, რითაც ღარიბაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ ყველაფერს. გაცილებით უარესის მოლოდინი მქონდა, ვთვლი, რომ ღარიბაშვილმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთა, რასაც გუნდი მისგან ითხოვდა. ვერ გააკეთა ის, რასაც ითხოვდა საზოგადოება, მაგრამ არა მგონია, ეს ღარიბაშვილის ბრალი იყოს. სიხისტე კი მისი ახალგაზრდული ასაკიდან, გამოუცდელობიდან და მიღებული მემკვიდრეობიდან გამომდინარეობს. ჩვენ არ ვუფრთხილდებით თაობებს, ღარიბაშვილისთვის რომ მიეცათ საშუალება, ნელ-ნელა გაევლო პოლიტიკაში საფეხურები, ბრწყინვალე სახელმწიფო მოღვაწე იქნებოდა, მაგრამ, როცა მას დროზე ადრე აჰკიდეს ტვირთი, რომელსაც ის ვერ ასწევს, აქ მიდგომაზეა ლაპარაკი. ჩვენ ასე ვკარგავთ ყველა რესურსს და მერე ვიწყებთ წუწუნს, რომ ახლები არ ჩანან. არადა, ვერ გამოჩნდება ახალი, თუკი გამოჩენისთანავე მის დისკრედიტირებას მოვახდენთ.

— რა პრობლემის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ახალი პრემიერი?

— სამწუხაროდ, ახალ პრემიერს დროის დეფიციტი აქვს. ეს დეფიციტი მან უნდა დაძლიოს... მარტო ვერაფერს გააკეთებს, გუნდმა უკვე დასახა პროგრამა, თუ რას აკეთებენ საარჩევნო წელთან დაკავშირებით. იმდენად მცირე დროა დარჩენილი და დამოკიდებულება „ოცნების“ მიმართ იმდენად არამყარია, რომ პირველი საზრუნავი დღეს პრემიერსაც და „ოცნებასაც“ აქვს ის, რამენაირად შემოატრიალოს ამომრჩეველი, რათა 2016 წლის არჩევნებში ძალაუფლება შეინარჩუნოს.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

◎ მეკვლის კვალდაკვალ

ლეჩხუმი

აქ ახალი წლის შემობრძანებას ოჯახის უფროსი გობით ხელში ელოდა. ლეჩხუმში ბაბუა მიიჩნეოდა მეკვლედ. დადგებოდა თუ არა ახალი წელი, იგი ღვინით სავსე დოქით ხელში უმცროს ვაჟთან ერთად გავიდოდა ვენახში, სადაც ჯერ თავად ლოცავდა ზვრებს, შემდეგ პატარას დაალოცვინებდა; მოაპკურებდნენ იქაურობას ღვინოს, მერე მივიდოდნენ ბელელთან, ნალიასთან, ჭურებთან, ამის შემდეგ შედიოდნენ სადგომში (სახლში) და ლოცავდნენ გვარს.

სამეგრელო

სამეგრელოში თხილისგან გამოთლილ ჩიჩილაკს ბამბითა და სათამაშოებით რთავდნენ, მის სიახლოვეს კი აუცილებლად ეწყო ხილი და ტკბილეული, მოხარშული გოგრა, ხაჭაპური, ფელამუში და ღვინო. სამეგრელოში მეკვლეს — მეკუჩხურს — დიდი სიფრთხილით წინასწარ ირჩევდნენ და ოჯახიც საგულდაგულოდ ემზადებოდა მის დასახვედრად.

აფხაზეთი

აქ ახალ წელს ხიჩხუამას ეძახდნენ. მთელი ოჯახი საგვარეულო სახლში იკრიბებოდა, საგანგებოდ იხსნებოდა ქვევრი, ცხვებოდა თაფლიანი და ნიგვზიანი ქადები, აფხაზური პურები. ოჯახის უფროსი საკლავის დაკვლის შემდეგ დაკლული საქონლის ღვიძლით, ფილტვითა და თირკმლით ხელში მიდიოდა სალოცავში, ასხურებდა ღვინოს, მერე კი ოჯახში დაბრუნებული ახალ წელს ულოცავდა ახლობლებს.

◎ რჩევაც და თხოვნაც

ნუ, ნუ იქმ ამას!



ბრ თქვა ახლა, მოვალ თუ არა, ერთიანად აგაშენებთ და აგამღერებთო.

გამეტებით რომ ანგრევდნენ, აპარტახებდნენ, რყვნიდნენ, აუპატიურებდნენ, ხოცავდნენ, იმ ქვეყანას მხოლოდ უფალი ბიძინა ივანიშვილი და „ოცნება“ თუ უშველის. შენგან და, არც შენზე გამოცდილ პოლიტიკოსისგან ეგ არ გამოვა, თუნდაც იმიტომ, რომ ქართველობა სულ სხვა გენია.

არადა, შენ იმდენად ბევრი რამ გააკეთე სამშობლოსთვის, იმდენად შორს გაიტანე შენნაირი ნიჭიერების მიერ ისედაც შორს გატყორცნილი ქართული ნიჭის და გენიის ამბავი, ამას ერთი კი არა, ათასობით ადამიანიც ვერ შეძლებდა. და ამ გზაზე ჯერაც ბევრის გაკეთება ძალგიძს, რადგან ეგ ნიჭი უფალმა მოგმადლა!

ჰოდა, ამიტომაც, პოლიტიკაში მოსვლით, ამ ბინძურ საქმეში ჩათრევით, ღრმად ვარ დარწმუნებული, ნამდვილად ლაფში ამოისვრები! და თანაც როგორ! განა ამის ერთი და ორი მწარე მაგალითგაკვეთილი გვაქვს?

ქვეყანაში, სადაც ერის მამას —დიდ ილიას — ესროლეს, არაკაცებს, ურჯუკებს, სამშობლოს მოღალატეებს რა გამოლევს! მითუმეტეს დღეს, როცა სატანა ასე მძლავრობს?

ამიტომაცაა, რომ თვით უწმინდესსა და უნეტარესს, კათოლიკოს-პატრიარქს, შიგადაშიგ თითო-ოროლა ნაძირალა ზოგჯერ, მისდამი ერის უდიდესი სიყვარულის მიუხედავად, ისეთ უკადრებელს აკადრეს რომ...

რაღა შორს მივდივართ, აგერ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ერის გადამრჩენელს, ეკლესიათა მშენებელს, უანგარო ქველმოქმედს, მამულისთვის თავგანწირულს, ხომ ხედავთ, რა დღეშიც აგდებენ. ვისაც ხელი მიუწვდება, ყველა ტალახს ესვრის! მარტო ნაციონალებზე არ ვამბობ, არამედ იმათზეც, ვინც კაცებად აქცია, პარლამენტში თუ სხვა სახელისუფლებო ავანსცენაზე წამოსკუპა, თვალებში გამოიხედა! ლამის ყველა აუმხედრდა, თუნდაც ალასანია და მისიან-მისნაირები!

საქართველოს მრავალზე მრავალი ქველმოქმედი ჰყოლია, ეს შენც იცი, შენც ხომ თავადაც ქველმოქმედი ხარ, მაგრამ ბატონი ბიძინა სულ სხვა სიმაღლეზე დგას. მისი დიდების გაბრწყინებას დრო სჭირდება! დადგება ჟამი და ივანიშვილი, როგორც რჩეულთა შორის რჩეული, გაბრწყინდება საქართველოს ზეციურ ვარსკვლავად, მაგრამ დღეს, შურითა და ბოღმით დაბრმავებულნი, იგესლებიან, იწყევლებიან, იმუქრებიან.

კი, ეს არაკაცები, მედროვეები, მალე სანაგვეში ჩაიხვეტებიან, მაგრამ...

ჰოდა, ბატონო პაატა, დიდო მამულიშვილო, ვიმეორებ, ქართული ნიჭის შორს გამტყორცნო, აქაც ქველმოქმედო, ერის საქმის მკეთებელო, შენი ფონდით მრავალი ოჯახის გადამრჩენელო, ნუ, ნუ იზამ ამას, არ გინდა პოლიტიკაში შემოსვლა, ხომ ნახე, ჯერ მხოლოდ სურვილი გამოთქვი და უკვე ჭილყვავებივით როგორ დაგესივნენ, უკვე ტალახს გესვრიან.

ამიტომაც დიდო ბანო, მსოფლიო საოპერო სცენებისა და მილიონების გულთა მპყრობელი, დარჩი იქ, სადაცა ხარ! ისევ იგუგუნე, ადიადე შენი მშობელი საქართველო. მითუმეტეს, აქ იმდენი პოლიტიკანი პოლიტიკოსი გვყავს...

რომ ვიცოდეთ, შენი პოლიტიკაში მოსვლით სამშობლოს გადაარჩენ, კიდევ ჰო, მაგრამ...

დიდი სიყვარულით
გივი ჯახუა.

P. S. საქველმოქმედო ფონდს თუ არ ეფარები და მართლაც ამ მამულიშვილურ საქმეს ეჭიდები, მაშინ ღმერთმა დაგლოცოს და ერიც მხარში დაგიდგება.

P. P. S. განა ზრდილობა მაკლია, ან შენი ფასი არ ვიცი, თუნდაც შვილის ტოლს, მაგრამ ესოდენ წარმატებულაღმატებულს შენობით რომ მოგმართავ. უბრალოდ, მგონია, რომ ეს შენდამი ჩემს ამ თხოვნა-რჩევას მეტ ინტიმს შესძენს.

გ. ჯ.

◎ ძალად მაცხოვნენი

დაგვიცავით აბეზართა თავგასულობისგან!

როგორ გავთავისუფლდეთ მობილურზე სარეკლამო შეტყობინებებისგან?

დღის განმავლობაში ჩვენს საკუთარ ტელეფონში უამრავი რეკლამა მოდის შეტყობინებების სახით. გვთავაზობენ სხვადასხვა სახის პროდუქციას ზოგს ფასდაკლებით, ზოგსაც — სოლიდურ ფასად. წინასაახალწლოდ ამ შეტყობინებების რიცხვი გაორმაგდა. არის თუ არა მექანიზმი, რომ მომხმარებელი გათავისუფლდეს ასეთი ხშირი შემაწუხებელი შეტყობინებებისაგან?

მოქალაქეების თქმით, მობილური ოპერატორები სთავაზობენ გარკვეული კოდის შეყვანას, თუმცა, ეს არ მუშაობს და რეკლამები მათ პირად ნომრებზე კვლავაც მისდით.

არსებობს სახელწიფო უწყება, რომელსაც გადასახადის გადამხდელები ფულს უხდიან და სწორედ ამ უწყებას ევალება დაიცვას ჩვენი, მომხმარებლების უფლებები, თუ სხვადახვა კერძო კომპანია ამას არღვევს.

ეს სახელმწიფო უწყება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატია. აპარატში აცხადებენ, რომ პირდაპირი მარკეტინგი აკრძალული არ არის, თუმცა კანონის მიხედვით არსებობს რეგულაციები, რომლებიც კომპანიებმა უნდა დაიცვან.

ერთ-ერთი ასეთი რეგულაცია მომხმარებლებს შესაძლებლობას აძლევს, უარი თქვან სარეკლამო შეტყობინებების მიღებაზე, „მაგრამ თუ სარეკლამო შეტყობინებაზე უარის თქმის მექანიზმი არ მუშაობს, მოქალაქეებს შეუძლიათ განცხადებით მიმართონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს“.

რამდენად მოსახერხებელია ბიუროკრატიული პროცესების გავლა თითოეული მოქალაქისთვის სარეკლამო SMS-ისგან თავის დასაღწევად რთული სათქმელია.

რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ სარეკლამო შეტყობინებები SMS-ის სახით აღარ მოგვივიდეს? ამ კითხვით ჩვენ მობილურ ოპერატორებს მივმართეთ.

როგორც „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი თათული ღვინიაშვილი „მეტრონომთან“ აცხადებს, მათ აბონენტებს აქვთ შესაძლებლობა, შეიყვანონ კოდი და რეკლამა აღარ მიუვათ.

„მაგთიკომი“ სარეკლამო SMS-ებს არ უგზავნის თავის მომხმარებელს. ჩვენგან მხოლოდ საინფორმაციო SMS-ები იგზავნება ჩვენი პროდუქტების, სიახლეებისა და სერვისების შესახებ ან იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სხვა კომპანიასთან გვაქვს ერთობლივი აქცია. ყოველ ასეთ მესიჯს თან ერთვის sms off-ის USSD კოდი, რომლის აკრეფვის შემთხვევაში აბონენტი მაგთიკომის სახელით აღარ მიიღებს შეტყობინებას თუ მომხმარებელს არ სურს იყოს მაგთიკომის სარეკლამო თქთების ბაზაში, შეუძლია აკრიფოს ★182#OK და მიჰყვეს ინსტრუქციას“, — აცხადებს ღვინიშვილი.

კომპანია „ბილაინის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ნათია ღლონტი აცხადეს, რომ მათს აბონენტებსაც აქვთ შესაძლებლობა სპეციალურად შემუშავებული კოდის მეშვეობით უარი თქვან სარეკლამო შეტყობინებებზე.

„ჩვენ სარეკლამო მესიჯებს არ ვაგზავნით. ჩვენ ვაგზავნით მხოლოდ „ბილაინის“ შესახებ ინფორმაციას, რომელიც შეეხება ჩვენს პროდუქციისა თუ მომსახურეობას. არის რამდენიმე სარეკლამო კომპანია, ერთ-ერთან ჩვენ ვთანამშრომლობთ. ეს არის MS Group, რომლისთვისაც ტექნიკურად ჩვენ უზრუნველვყავით სპეციალური კოდი ★297# , როდესაც ეს სარეკლამო კომპანია აგზავნის შეტყობინებებს მომხმარებლებს შეუძლიათ ან საერთოდ ყველა SMS დაბლოკონ, ან თავად შეარჩიონ რა ტიპის რეკლამა სურთ, რომ მიიღონ“.

რაც შეეხება ფინანსურ სარგებელს კომპანიები უარყოფენ რაიმე სახის ფინანსური სარგებლის არსებობას ამ პროცესში.

ჩვენ ვცადეთ დავკავშირებოდით ერთ-ერთ მსხვილ მობილურ ოპერატორს „ჯეოსელს“, თუმცა მათ „მეტრონომის“ ზარებს არ უპასუხეს.

მობილური ოპერატორები გამოსავალის სახით ★182# -სა და ★297# გვთავაზობენ. მოქალაქეთა პირადი მონაცემების დაცვა კერძო კომპანიათა „კეთილ ნებაზე“, რომელიც ხშირად არც ისეთი „კეთილია“ არ უნდა იყოს მინდობილი და კონკრეტული უწყება უნდა ზრუნავდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანისთვის, რომელიც უფრო მკაცრად გააკონტროლებს, მუშაობს თუ არა სარეკლამო შეტყობინებებზე უარის თქმის მექანიზმი საქართველოში.

მარიამ ვარადაშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

პროკურატურის წარმომადგენლებმა ბავშვები გაახარეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის, ზუგდიდის, სენაკის, ფოთისა და მესტიის რაიონული პროკურატურების თანამშრომლები „SOS ბავშვთა სოფელი წალენჯიხის მცირე საოჯახო ტიპის სახლს“ და ჩხოროწყუს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრს „ააიპ იმედი -3“-ს ესტუმრნენ.

პროკურატურების წარმომადგენლებმა 27 აღსაზრდელს დამდეგი, ახალი 2016 წელი მიულოცეს და საჩუქრად ნაძვის ხე, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, წიგნები, სასურსათო პროდუქტი, სათამაშოები, სპორტული ინვენტარი, ტანსაცმელი, პირადი ჰიგიენისთვის საჭირო ნივთები და ტკბილეული გადასცეს.

ბავშვთა დაწესებულებებს ასევე გადაეცათ ქსოვილები და კერვისთვის საჭირო ყველა ის ნივთი, რომელიც მოზარდებს შესაძლებლობას მისცემს, შეისწავლონ ხელსაქმე.

◎ მეკვლის კვალდაკვალ

იმერეთი

მეკვლის მოსვლამდე ოჯახის უფროსს ევალებოდა ხორაგით სავსე ხონჩით სამჯერ წაღმა შემოევლო სახლისთვის და უფლისთვის გამრავლება, ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა ეთხოვა. ხონჩაზე ღორის თავი, მწვადი, მოხარშული დედალი, ხაჭაპური, ლობიანი, ღერღილის პური და ტკბილი კვერები ელაგა. სახლისთვის სამჯერ შემოვლის შემდეგ ოჯახის უფროსი კერიაში შედიოდა ოჯახის ყველაზე ხნიერ წევრთან ერთად, რომელიც მოგიზგიზე კუნძს რამდენჯერმე დაჰკრავდა ჯოხს და აშლილ ნაპერწკლებს ასეთ ლოცვას დაადევნებდა: ამდენი ოქრო ჩვენს ოჯახში, ამდენი პური და ღვინო, ამდენი მარილი, ამდენი ძროხა, ამდენი ქათამი; დაე, ეს წელი ამ ნაპერწკლებივით უხვი იყოსო.

გურია

კალანდობა — ასე უწოდებდნენ გურიაში შობა-ახალ წელს. კალანდობა დეკემბრის ბოლოს იწყებოდა, იკვლებოდა ღორი, ცხვებოდა გურული კვერები ყველითა და კვერცხით, ნაზუქები, მზადდებოდა კუპატი და საცივი. კალანდობის მთავარი ატრიბუტი კი ჩიჩილაკი იყო, რომელიც აუცილებლად უნდა მორთულიყო. ახალი წლის მილოცვა აქაც ოჯახის უფროსის პრეროგატივა გახლდათ. ახალი წლის დადგომისთანავე იგი ჯერ მარანსა და საბძელს მოინახულებდა, შემდეგ შევიდოდა სახლში, წითელი ღვინით და დალოცავდა ქვეყანასა და ოჯახს. ახალი წლის ღამეს გურიაში მეალილოეები დადიოდნენ და მღეროდნენ, აგროვებდნენ ტკბილეულს, ფულსა და ხილს.

რაჭა

„გფარავდეთ მრავალძალის წმინდა გიორგი! შეგეწიოთ ყოვლადწმინდა ხოტევი და ნიკორწმინდა! აგარა და უღეში, ღმერთმა მოგცეთ ნუგეში“, — ამ სიტყვებით ლოცავდა რაჭაში მეფეხე ოჯახს. თუ წინა წელს მის ფეხს ოჯახი კარგად დასცდიდა, მას კიდევ სამი წლით ირჩევდნენ. ამ სამი წლის განმავლობაში მეკვლე ოჯახს პირველი მიულოცავდა ახალი წლის დადგომას ღვინის დოქით, მოხარშული ლორით, შემწვარი წიწილით, ვაშლში ჩარჭობილი ხურდა ფულით, ჩიჩილაკითა და სანთლით ხელში; დალოცავდა ოჯახს, საბძელს, ნალიას, მერე კი იწყებოდა ლხინი. რაჭულ საახალწლო სუფრას ამშვენებდა ლობიანები, ღვინო, ლორი, თაფლი, კაკალი, ტყლაპი, ჩირი და ვაშლი.

◎ მეკვლის კვალდაკვალ

ხევი და მთიულეთი

ახალი წელი ხევისბერების სარიტუალო მსვლელობით იწყებოდა — ისინი დროშას ააბრძანებდნენ წმინდა გიორგის ხატში. როგორც კი ზარები ახალი წლის დადგომას აუწყებდნენ, ტაძრიდან გამოსული ხევისბერები ჯერ ერთმანეთს, მერე კი თემს მიულოცავდნენ ახალ წელს, მშვიდობასა და ბარაქას უსურვებდნენ. ამის შემდეგ წმინდა გიორგისა და მთავარდიდმოწამის სახელის სადიდებლად იკვლებოდა საკლავი და იწყებოდა ზეიმი და განთქმული შაირობა.

თუშეთი

ახალი წლის დადგომამდე თუშ ქალებს აუცილებლად უნდა დაებრუნებინათ, თუკი რამ ჰქონდათ განათხოვრებული; იმარაგებდნენ ტკბილეულს და აცხობდნენ სამეკვლეო კვერს, რომელსაც „ხარის გოგას“ ეძახდნენ. აქ მეკვლედ ისეთ კაცს იწვევდნენ, რომელსაც კეთილი გული, კარგი ფეხი და დიდი გამოცდილება ჰქონდა. ზუსტად თორმეტ საათზე მეკვლე ოჯახში შემობრძანდებოდა, ოჯახის უფროსი კი მას სამეკვლეო კვერს მიართმევდა. მეკვლე მას კერიასთან დააგორებდა ისე, რომ კვერი წაღმა დამდგარიყო, რათა ახალ წელს ოჯახის ბედი სულ წაღმა დატრიალებულიყო. ხდებოდა ისეც, რომ მეკვლეობას თუშები მეცხვარის ძაღლს ანდობდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მასაც „კარგი კვალი“ ჰქონდა. ახალი წლისთვის ოჯახის ყოველი წევრის სახელზე ცხვებოდა სათავნო და ბედის კვერები სხვადასხვა გამოსახულებით. დილით ადრე ოჯახის უფროსის ჯერი დგებოდა. იგი უნდა გასულიყო გარეთ, შემოეტანა თოვლი და სახლში მიმოებნია. ოჯახის უფროსის დალოცვის შემდგომ საახალწლო მხიარულება იწყებოდა.

ფშავი და ხევსურეთი

აქ საუკუნეების მანძილზე არსებობდა ერთი საინტერესო ტრადიცია: ახალი წლის ღამეს ხევისბერები და დასტურები სალოცავში წაიღებდნენ ქადებს, ერბოიან პურებს და სანთლებს, თან წაიყვანდნენ სოფლის ყმაწვილებს და წინ წაიმძღვარებდნენ საკლავს. ქვით გადახურულ ხატში ისინი ლოცვაში ათენებდნენ. ახალი წლის დამდეგს ხევისბერი დალოცავდა მლოცველთ, კუთხეს, გვარსა და ოჯახებს, გარიჟრაჟზე კი გამოვიდოდა ჯვარიდან და იკვლებოდა ცხვარი, რომლის სისხლში ამოვლებული თოვლის გუნდებსაც ეშმაკისა და ბოროტის განსადევნად ხატიონის კედელს ესროდნენ. შემდგომ ყმაწვილები ქუდებს იხდიდნენ და ერთად აწყობდნენ ნაბდის ქვეშ. ერთ-ერთი მათგანი ბრმად იღებდა ქუდს და სწორედ მის პატრონს ერგებოდა წილად მთელი სოფლის მეკვლეობის პატივი. დალოცვის შემდეგ სოფელში იწყებოდა დღესასწაული, იხარშებოდა ლუდი, იხარშებოდა ხინკალი და ისმებოდა ჟიპიტაური. საახალწლო სუფრის აუცილებელი ატრიბუტები იყო პური, ერბო, ხორცი, დამწნილებული სატაცური და ტკბილი ქადები.

სამაჩაბლო

აქ მეკვლე აუცილებლად პატარა ბავშვი უნდა ყოფილიყო, რათა სუფთა გულითა და ხელებით სიკეთე შეეტანა ოჯახში. მეკვლეს ხელში ლანგარი ეჭირა, რომელზეც ტკბილეული და კარტოფილის ხინკლები ეწყო. აქაურ საახალწლო სუფრას ამშვენებდა ხაჭაპურები, ხაბიზგინები, გოზინაყი, მოხარშული დედალი.

◎ ღირს დაფიქრებად

დაგროვებითი პენსია — ბედნიერი სიბერის გარანტი?!

ხელისუფლება დაგროვებითი პენსიის სისტემის დანერგვაზე მუშაობს. დღეს არსებული საპენსიო ფორმა არ ასახავს პენსიონერთა განვლილ ცხოვრებას და ის არა საპენსიო, არამედ უფრო სოციალური შემწეობის სისტემაა. მისგან განსხვავებით, საპენსიო ფონდის შექმნა მნიშვნელოვან იდეად მიიჩნევა, თუმცა ის შედეგებს 10 ან მეტი წლის შემდეგ გამოიღებს.

მანამდე საქართველოში დაუძლეველ პრობლემად რჩება დასაქმებული და უმუშევარი ადამიანების პენსიათა თანაფარდობა, რაც დაგროვებითი პენსიის შესაძლებლობას არ აძლევს მოსახლეობას და ბედნიერი სიბერის გარანტიას არ იძლევა.

საპენსიო სისტემის მოდელის რეფორმირების აუცილებლობაზე საუბრობს „აფბა“-ს თავმჯდომარე შოთა გულბანი. ის აცხადებს, რომ მსგავსი ტიპის მოდელის ჩამოყალიბებაზე ეკონომიკის სამინისტროში სპეციალური ჯგუფი უკვე მუშაობს, მაგრამ საჭიროა მეტი კონკრეტიკა.

დაგროვებითი პენსიის შესახებ შოთა გულბანი გვესაუბრება.

— მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუსაქმებელია, ხოლო ამ არასტაბილური სამუშაოს პირობებში დასაქმებულები გაიმეტებენ თანხის ნაწილს უზრუნველი სიბერისთვის?

— ესაა ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება და აქ არ არის არანაირი იძულებითი მექანიზმი ჩადებული. თუ ვინმეს არ სურს და თვლის, რომ მისი შემოსავალი არ არის იმ მოცულობის, რომ რაღაც კონტრიბუცია გადადოს უზრუნველი სიბერისთვის, ძალდატანებით არავინ მიაღებინებს მონაწილეობას. თუმცა ახალი დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმა იმდენად მიმზიდველია, რომ ნებისმიერ ადამიანს ამის სურვილი უნდა გაუჩნდეს. ეს ნიშნავს 2%-იან კონტრიბუციას შენი შემოსავლიდან. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი გაქვს ხელფასი, მთავარია, ჩათვალო, რომ მზად ხარ დაზოგვისთვის, ანუ 2% კონტრიბუცია არის შენი მხრიდან, 2-2% კონტრიბუცია კი არის დამსაქმებლის, სახელმწიფოს მხრიდან. ეს არის მინიმალური 6%. მაგალითად, 30 წელი რომ აგროვოთ ამ რაოდენობის თანხა და გაითვალისწინოთ ეკონომიკის მნიშვნელოვანი ინდიკატორები(ინფლაცია, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, კერძო საპენსიო ფონდიდან მიღებული ამონაგები), მაინც მოგებული დარჩებით. 30 წლის შემდეგ თუ გადაწყვეტთ, რომ 20 წლის განმავლობაში ყოველთვიურად მიიღოთ დაზოგილი თანხა, ეს 345 ლარი გამოვა. თანაც, ეს არის ყოველთვიური მიმდინარე ღირებულება. ნომინალური ღირებულება კი, ანუ მომავალში რაც იქნება, დაახლოებით სამზე გამრავლებულ თანხას შეადგენს.

— რამდენად შეეძლება ჩვენს ეკონომიკურად სუსტ ქვეყანას ამ თანხების გაცემა წლების შემდეგ?

— შეძლება-არშეძლებაზე საუბარი არ არის. საპენსიო რეფორმის განვითარება დაკავშირებულია კაპიტალის ბაზრის განვითარებასთან ჩვენს ქვეყანაში, რაზეც მუშაობა პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს. კერძო საპენსიო ფონდები როდესაც მოახდენენ ამ სახსრების აკუმულირებას, ანუ მოქალაქეების მიერ შეტანილი სახსრების დაგროვებას, მათ ეს თანხები უნდა გამოიყენონ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისთვის. თუ ქვეყანაში არ არის ფასიანი ქაღლდების ბაზრობა განვითარებული, ძალიან გაჭირდება ამ თანხების მომგებიან ინვესტიციებში ჩადება. მაშინ იძულებულნი იქნებიან, ეს კერძო საპენსიო ფონდები საზღვარგარეთის მომგებიანი აქციები შეიძინონ და ამგვარად მიიღონ მოგება, რომ შემდგომში დამგროვებელ პირსაც მისცენ მოგება. თავის დროზე ფასიანი ქაღალდების ბაზარი ვითარდებოდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ წინა ხელისუფლებას და გარკვეულ საბანკო ჯგუფებსაც არ აწყობდათ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება. ამიტომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელ კანონმდებლობაში შეიტანეს იმგვარი ცვლილებები, რამაც ამ ბაზრის განვითარება ძირშივე მოსპო და საფონდო ბირჟა დარჩა ჩანასახოვან მდგომარეობაში.

ვერ დავეთანხმები იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ ქვეყანა სუსტია და ეს რეფორმა ვერ განხორციელდება. ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად სუსტი რომ არის, ეს ახალი თემა არაა, მაგრამ ამ რეფორმის განხორციელება უხერხულ თანაკვეთაში არ მოდის ქვეყნის ეკონომიკასთან.

— რა ქნან იმ ადამიანებმა, ვინც დაუსაქმებელია? მათთვის არ იქნება გარანტირებული ბედნიერი სიბერე და ისევ სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის თავზე მათი უზრუნველყოფა?

— მარტივად, ეს ადამიანები ისევ სახელმწიფო პენსიებს მიიღებენ. ისინი კი, ვინც დაგროვებით პენსიას შეაგროვებენ, სახელმწიფო პენსიასთან ერთად, დაგროვებით პენსიასაც მიიღებენ. ეს არის სტიმული, რომ ადამიანებს გაუჩნდეთ როგორც მუშაობის, ისე დაგროვების სურვილი. რაც შეეხება პრეცედენტებს, ჩვენ ვიცნობთ საზღვარგარეთის რამდენიმე მოდელს. საზღვარგარეთ ყველა ქვეყანა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს კისერზე არ უნდა აწვებოდეს საპენსიო უზრუნველყოფა.

— დაგროვებით სისტემაზე გადასვლის მთელი არსი არის ის, რომ ჩვენი პენსიონერების რაოდენობა იზრდება, რაც გამოწვეულია იმით, რომ შობადობა დაბალია და პენსიონერებსა და ახალგაზრდებს შორის თანაფარდობა შემცირებულია.

— არსებული პროგნოზით, 2030 წლისთვის პენსიონერთა ციფრი მილიონს გადააჭარბებს, ახლა არის 630 ათასი პენსიონერი. თანაფარდობა შრომისუნარიან ადამიანებს, ანუ გადასახადის გადამხდელებსა და პენსიონერებს შორის სულ უფრო მატულობს პენსიონერების სასიკეთოდ. პენსიონერების ანაზღაურება კი უფრო დიდ ტვირთად აწვება გადასახადების გადამხდელს.

ესაუბრა
ნანა იმერლიშვილი

◎ ვინ და რა ამოძრავებს ჩვენს ეკონომიკას?

მშპ-ს ზრდას სახელმწიფო ინვესტიციები უზრუნველყოფს

ძვეძნის მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკის ბოლო სამი კვარტალის ანალიზი ცხადყოფს, რომ მშპ-ს შექმნაში უდიდესი წვლილი შეაქვს სახელმწიფო ინვესტიციებს. ანალიზი გვიჩვენებს აგრეთვე, რომ თამბაქოსა და ლუდზე აქციზის გასაზრდელად განხორციელებულ დაჩქარებულ საგადასახადო ცვლილებებს შედეგად უკვე მოჰყვა ამ მიმართულებით წარმოების შემცირება. გასული წლის დაზუსტებული მაჩვენებლების გადახედვა კი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მშპ-ს უდიდესი ნაწილი თბილისში იქმნება და ის არა წარმოების, არამედ ვაჭრობის სფეროზე მოდის.

რამდენიმე დღის წინათ საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის III კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა მიმდინარე ფასებში 8 მილიონ 239 ათასი ლარი შეადგინა. წინა წლის შესაბამისი კვარტალის მიმართ მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 2,5 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა, ხოლო დეფლატორი გაიზარდა 6,3 პროცენტით.

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა მრეწველობა (17,4 პროცენტი) და ვაჭრობა (17,3 პროცენტი). შემდგომ პოზიციებს იკავებს: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (11,0 პროცენტი), სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა (9,4 პროცენტი), მშენებლობა (8,9 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა (7,6 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (6,9 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (6,0 პროცენტი).

ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: სამთომოპოვებითი მრეწველობა (24,1 პროცენტი), მშენებლობა (15,4 პროცენტი), საფინანსო საქმიანობა (9,3 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლის მომსახურება (6,1 პროცენტი), კავშირგაბმულობა (5,7 პროცენტი), სასტუმროები და რესტორნები (4,4 პროცენტი), კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება (4,3 პროცენტი). კლება დაფიქსირდა გადამმუშავებელ მრეწველობასა (-6,7 პროცენტი) და ტრანსპორტში (-1.0 პროცენტი).

როგორც სტატისტიკის სამსახური განმარტავს, 2015 წლის III კვარტალში მშენებლობის სფეროში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების რეალური ზრდა განპირობებულია სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ახალი გაზსადენის მშენებლობით, გადამმუშავებელი მრეწველობის სფეროში დამატებული ღირებულების შემცირება კი ძირითადად განპირობებულია უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის წარმოების შემცირებით.

2014 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებლების რეგიონალურ ჭრილში გადახედვა ცხადყოფს, რომ 2014 წელს საქართველოს მშპ-ს 56.2 % თბილისში შეიქმნა, ჯამში, — 14.1 მილიარდი ლარის საქონელი და მომსახურება. მეორე ადგილზეა იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთია, 12.4 %-ით, ხოლო მესამეზეა ქვემო ქართლი, 10 %-ით.

თბილისის ეკონომიკაში ყველაზე მსხვილი დარგი ვაჭრობაა. 2014 წელს ვაჭრობაზე მოდიოდა თბილისის ეკონომიკის (მშპ-ს) 28 % (3.4 მილიარდი ლარი). სიდიდით მეორეა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა ,17.4 %-ით (2.1 მილიარდი ლარი), ხოლო მესამეზეა მრეწველობა, 12.1 %-ით (1.5 მილიარდი ლარი).

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა ცხადყოფს, რომ, სამწუხაროდ, მშპ-ს ზრდაში უდიდესი წვლილი კვლავ სახელმწიფოს შეაქვს და, არსებითად, სხვა ალტერნატივა არ ჩანს. ამიტომ, აზრი, რომ სახელმწიფომ არ უნდა შეამციროს ინფრასტრუქტურული ხარჯები, სოციალური ხარჯების დასაფინანსებლად, — რადგან სწორედ ეს ხარჯები ამოძრავებს ეკონომიკას, ლეგიტიმურად რჩება.

ნინო ევგენიძე

სმა-ჭამა დიდად შესარგი

შობა და ახალი წელი ის დღესასწაულებია, რომელთაც მთელ მსოფლიოში დიდი სიხარულით აღნიშნავენ, თუმცა ყველა ქვეყანას თავისებური წესები და ტრადიციები აქვს. ამ სტატიაში ყურადღებას კულინარიულ ტრადიციებზე გავამახვილებთ.

ყველას მოგეხსენებათ, რომ ქართული საახალწლო სუფრა წარმოუდგენელია საცივის, გოზინაყისა და ჩურჩხელების გარეშე. საინტერესოა, რა კერძები ამშვენებს სხვადასხვა ქვეყნის საშობაო თუ საახალწლო სუფრას? შობა უამრავ ქვეყანაში ყველაზე საყვარელ საოჯახო დღესასწაულად ითვლება და საშობაო სუფრაც საუკეთესო ადგილია საყვარელი ადამიანებისა და ახლობლების ერთად შესაკრებად.

გერმანული შობის ღამე ერთდროულად ძალიან საზეიმო და მადის აღმძვრელია. დიდი ხნის განმავლობაში ღორის ხორცი საშობაო სუფრის მთავარი კერძი იყო, მაგრამ თანამედროვე გერმანიაში მას ნელ-ნელა ფარშირებული შემწვარი ინდაური ანაცვლებს. პოპულარულია პატარა ფხვიერი ორცხობილები, რომელთაც ნაძვის ხის, ვარსკვლავის, თოვლის ბაბუას ფორმა აქვს და ვანილის, დარიჩინის, ილის სურნელს აფრქვევენ. თუმცა, მთავარი საშობაო დესერტი მაინც შტოლენია — წაგრძელებული ფორმის არომატული ნამცხვარი, რომელშიც ჩირეული, ნუში, ქიშმიში, რომი, სანელებლები შედის და შაქრის პუდრითაა დაფარული. ეს ნამცხვარი ყრმა ქრისტეს სიმბოლოა.

ბელგიასა და **ლუქსემბურგში** შობა წარმოუდგენელია დარიჩინიანი თაფლაკვერების გარეშე, რომელთაც სხვადასხვა პერსონაჟის ფორმა აქვთ. სუფრაზე აუცილებლად დევს შემწვარი ბატი ან ინდაური. ახალი წლის დღეს კი მიირთმევენ ტრადიციულ შუკრუტს: მჟავე კომბოსტოს კერძს, მომზადებულს სხვადასხვა სახის ძეხვეულთან და ხორცთან ერთად.

ბულგარეთში სუფრაზე უნდა იდოს შვიდი, ცხრა ან თორმეტი სახის კერძი, კვირის შვიდი დღის, ორსულობის ცხრა თვისა და წელიწადის თორმეტი თვის აღსანიშნავად. აცხობენ პურს ,,ბოგოვა პიტა“, რომელშიც აყოლებენ პატარა მონეტას. ბულგარელების რწმენით, ამ მონეტის მპოვნელს მთელი წელი ბედნიერება არ მოაკლდება.

ყველა **დანიელის** სახლში აუცილებლად ცხვება პატარ-პატარა საახალწლო ორცხობილები და ნამცხვრები, ხოლო სუფრას შემწვარ ინდაურთან ერთად ყოველთვის ამშვენებს თევზეული, განსაკუთრებით კი ქაშაყი.

ესპანეთის კულინარიული ტრადიციები პროვინციების მიხედვით განსხვავდება, თუმცა, საშობაო-საახალწლო მენიუ ძირითადად ერთნაირია: შემწვარი ცხვრის ბარკალი, ზღვის პროდუქტი და ინდაური. საშობაო სადილი, როგორც წესი, შუაღამემდე მთავრდება, რადგან თითქმის ყველა ჩქარობს ოჯახთან ერთად შუაღამის წირვაზე დასწრებას. ტკბილეულობიდან ყოველ ესპანურ სუფრაზე შეხვდებით ტურონს: ეს არის შოკოლადის ან ნუგას სახეობა, რომელშიც ამოვლებულია თხილი, ნუში, ნიგოზი, ჩირეული, ჰაეროვანი ბრინჯი და ა.შ. ძველად, ესპანური ტრადიციის მიხედვით მეზობლები ერთმანეთს ჩუქნიდნენ საუკეთესო ადგილობრივი პროდუქტით — ზეითუნის ზეთით, ღვინით, თხის ყველით, ნუშით, ძეხვეულით და ა.შ. სავსე კალათებს. დღეს ასეთი კალათები ყველა ესპანურ მაღაზიაში იყიდება.

ფინურ საახალწლო სუფრას ზღვის პროდუქტები ამშვენებს: ორაგული, ქაშაყი სხვადასხვა სოუსით, ხიზილალა. დესერტად კი ზღვის ვარსკვლავის ფორმის ნამცხვარს ამზადებენ.

პორტუგალიაში მთავარი საახალწლო კერძია ვირთევზა კარტოფილით და ზეითუნის ზეთით და შემწვარი ციკანი. თუმცა თანამედროვე ევროპული გავლენა აქაც შეიმჩნევა და ციკანს სულ უფრო და უფრო ხშირად ანაცვლებენ ინდაურით.

ფრანგული საშობაო სუფრა ნამდვილად პომპეზურია. ეს ის დღეა, როცა ყოველი ფრანგი თავს უფლებას აძლევს, დელიკატესები დააგემოვნოს: ფუა გრა, ხამანწკები, შებოლილი ორაგულის ფილე თითქმის ყველა სუფრას ამშვენებს. ინდაური წაბლით ტრადიციული საშობაო კერძია საფრანგეთში, ხოლო საშობაო რულეტი — უცვლელი ტკბილეული. საფრანგეთის პროვინციებს, რა თქმა უნდა, თავიანთი წეს-ჩვეულებები აქვთ. მაგალითად, პროვანსში დღემდე მოქმედებს 13 სახის დესერტის მომზადების ტრადიცია, რომელიც ქრისტესა და მისი 12 მოწაფის სიმბოლოა. ელზასში კი მე-16 საუკუნიდან მოყოლებული, დღემდე ამზადებენ თაფლაკვერს ნუშით, დარიჩინით, ილითა და თაფლით, რომელსაც წმინდა ნიკოლოზს სწირავენ.

უნგრეთში დიდ ყურადღებას აქცევენ საახალწლო სუფრის დეკორაციას და ხშირად იყენებენ უნგრეთის დროშის ფერებს: წითელს, თეთრსა და მწვანეს. მთავარი კერძი თევზია, ხოლო დესერტად ხაშხაშიან და ნიგვზიან ნამცხვარს ამზადებენ, სადაც ყაყაჩო ერთობისა და ქორწინების სიმბოლოა, ნიგვზის დახმარებით კი მომავალს წინასწარმეტყველებენ.

იტალიური შობა წარმოუდგენელია ტრადიციული პენეტონეს გარეშე. მისი მრავალი სახეობა არსებობს: კრემიანი, შოკოლადიანი, ჩირეულით და ა.შ. ეს ნამცხვარი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული მზადდება იტალიაში. რეგიონების მიხედვით მრავალფეროვანია ტკბილეულიც, სიცილიაში წარმოუდგენელია დღესასწაული ტრადიციული ტურონის გარეშე. ეს ესპანური ტურონის აქაური ვარიანტია. ტოსკანაში პანფორტეს ამზადებენ, ეს არის ნუშით, ჩირეულით, ციტრუსით და თაფლით მომზადებული ტკბილეული.

ჰოლანდიაში საახალწლოდ ინდაურს, ბატს ან კურდღელს ამზადებენ, ტკბილეულიდან კი დარიჩინიანი ნამცხვრებია პოპულარული.

ტრადიციული **პოლონური** მენიუ გულისხმობს სოკოს სუპს, ხორცეულს, სხვადასხვა გულსართიან ღვეზელს, ყაყაჩოს თესლისგან დამზადებულ ნამცხვრებს და 12 სხვადასხვა ხილის კომპოტს, 12 მოციქულის პატივსაცემად.

ბრიტანული საშობაო სადილის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია შემწვარი ხორცი, ინდაური ან ბატი. საშობაო პუდინგი კი ტიპური ინგლისური დესერტია.

შვედური საშობაო სადილი ტრადიციული ცივი კერძებით, სმორგასბორდით იწყება: აქ შედის დამარინადებული ქაშაყი, პაშტეტი, სხვადასხვა სახის ძეხვეული. დესერტად მიირთმევენ რძეში მოხარშულ სანელებლებიან ბრინჯს. ტრადიციული შვედური სასმელია გროგი — სანელებლებიანი ცხელი ღვინო ქიშმიშითა და ნუშით.

საინტერესოა **უკრაინული** საშობაო სუფრა, სადაც ძირითადად მარცვლეულისგან დამზადებული კერძები, ხილი, ბოსტნეული და თევზეულია წარმოდგენილი. მაგიდაზე აუცილებლად უნდა იდოს ხორბლის თავთავი და სამი ერთმანეთზე დაწყობილი სხვადასხვა ზომის საშობაო პური, რომელიც წმინდა სამებას განასახიერებს. რა თქმა უნდა, სუფრას აუცილებლად ამშვენებს მრავალნაირი უკრაინული ღვეზელი და ვარენიკი.

ჩინეთში ახალი წელი გაზაფხულზე დგება და საახალწლო წეს-ჩვეულებებიც განსხვავებულია რეგიონების მიხედვით, მაგრამ არის რამდენიმე კერძი, რომელთაც ჩინელები მთელ ქვეყანაში ერთნაირად აფასებენ და ამზადებენ. ასეთია, მაგალითად, ჩინური რავიოლები Jiaozi, რომელსაც ორთქლზე ამზადებენ და ახალ წელს მიირთმევენ, ხშირად მასში პატარა მონეტას ან სხვა სიურპრიზს დებენ, რომელსაც, მათი რწმენით, მპოვნელისთვის ბედნიერება მოაქვს. ასევე ყველა ჩინელი ახალ წელს აუცილებლად მიირთმევს ბრინჯისგან დამზადებულ ნამცხვარს და ხორბლის ან ბრინჯის ფქვილისგან დამზადებულ გრძელ „სპაგეტის“, რომელიც დღეგრძელობის სიმბოლოა.

იაპონიაში ახალი წლის აღნიშვნის განსხვავებული წესი აქვთ. ტრადიცია მოითხოვს, რომ ამ დღეს არაფერი გააკეთონ, საჭმელიც კი, ამიტომ იაპონელი დიასახლისები საახალწლო კერძებს წინასწარ ამზადებენ და ინახავენ. ახალ წელს იაპონიაში აუცილებლად მიირთმევენ სუპს zoni, რომელსაც ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში განსხვავებულად ამზადებენ, თუმცა რამდენიმე უცვლელი ინგრედიენტი აქვს. პოპულარულია ბრინჯის ნამცხვრები და ზღვის პროდუქტის კერძები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრადიციული საშობაო-საახალწლო მენიუ არ არსებობს. რადგან ინდაური მადლიერების დღის სიმბოლოა, საახალწლოდ შემწვარი ხორცია მთავარი კერძი, სტარტერად შებოლილი ორაგულისგან დამზადებულ სხვადასხვა ვარიაციას მიირთმევენ, დესერტი კი რეგიონალურ კულინარიაზე ან თავად მზარეულზეა დამოკიდებული. თეთრ სახლში აუცილებლად მიირთმევენ ე.წ. „პრეზიდენტის ნამცხვარს“, რომლის რეცეპტიც აბრაამ ლინკოლნის დროინდელია. სამაგიეროდ, მთელს ამერიკაში მიირთმევენ ლიქიორ Egg Nog-ს. ეს არის სქელი, სურნელოვანი სასმელი რომით, კვერცხით, სანელებლებითა და რძით.

◎ მეკვლის კვალდაკვალ

სამცხე-ჯავახეთი

აქ უმძრახ წყალს დიასახლისი ეზოში, სასიმინდესა და ნალიაში ასხურებდა; საახალწლო სუფრაზე, გარდა ტკბილეულისა, ეწყო კარაქი, ხავიწიანი კვერები, კარტოფილის ხინკალი და ღვინო. ოჯახის თითოეული წევრის სახელზე ცხვებოდა საბედო, ბანის, სამეკვლეო და ხარის ქედის კვერები, რომლებსაც ოჯახის უფროსი ყრიდა ერდოდან და თან ლოცვასაც აყოლებდა. თუ კვერი კერიაზე დაეცემოდა, იმ წელს ოჯახი სიხარულში, მატებასა და ბარაქაში გაატარებდა, თუ — კართან, წელი მოუსავლიანი ან უსიამოვნო იქნებოდა და ამას წინასწარ ეგუებოდნენ. შემდგომ კი იწყებოდა მეზობლებისთვის ახალი წლის მილოცვა გადაძახილითა და „მუმლი-მუსაასოს“ მღერით.

საინგილო

საინგილოში ახალი წლის სუფრა არ გაიშლებოდა ჰალვის, თაფლის, ნაზუქების, გოზინაყისა და ბრინჯის ფლავის გარეშე. აქ მეკვლე აუცილებლად ძაღლი უნდა ყოფილიყო, რადგან იგი იყო ფეხბედნიერი, ოჯახის ერთგული და გულშემატკივარი. მეორე დღეს ოჯახში მოდიოდა ნამდვილი მეკვლე, რომელსაც ფეხებთან დაუყრიდნენ ბრინჯს ან ხორბალს, დასვამდნენ სკამზე, რათა ოჯახში ქალიშვილები გაუთხოვარნი არ დარჩენილიყვნენ, შემდეგ მეკვლე ყველას დალოცავდა და ლხინიც იწყებოდა.

აჭარა

ახალი წლის ღამეს მთელი ოჯახი სუფრასთან იკრიბებოდა. ოჯახის უფროსის ნებართვით, ყველას უმცროსი ვაჟი ულოცავდა ახალ წელს. დიასახლისი ირგვლივ უმძრახ წყალს მოაპკურებდა, შემდეგ კი გახსნიდა წინასწარ მომზადებულ ყაურმას. სუფრაზე ეწყო აჭარული ხაჭაპურები, ჰალვა, ხარჩო, ბურმე - თაფლიანი და ნიგვზიანი ნამცხვარი, სანთლის არაყი. ქალებს აუცილებლად უნდა სცმოდათ წითელი კაბა და გულზე ჰკიდებოდათ ბებიის ნაჩუქარი ჯვარი. დაილოცებოდნენ აჭარლები და ისვრიდნენ თოფს, ნიშნად იმისა, რომ ოჯახი ხარობდა და სიცოცხლე გრძელდებოდა.

ᲓᲐᲜᲘᲐ

ᲕᲘᲓᲠᲔ **საათი თორმეტჯერ ჩამორეკავს, ხალხი სკამებზე ადის და, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ახალ წელში... ხტება!** როგორც ამბობენ, ასეთი მოქცევა წარმატების საწინდარია.

ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ **ღამეს კოლუმბიელები თავიანთ სახლების გარშემო შემოურბენენ ხოლმე, რა დროსაც ხელში...** ცარიელა ჩემოდანი უკავიათ. ამ ერთობ უცნაურ რიტუალს უმეტესად ისინი ასრულებენ, ვისაც დამდეგ წელს... მოგზაურობაში წასვლა უნდა.

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ

ᲨᲝᲑᲘᲡ **წინ იქ შუაზე გაჭრილ... ვაშლებზე მარჩიელობენ.** მარჩიელი გადანაჭერზე კურკებს აკვირდება: თუ ისინი ვარსკლავის ფორმით არიან განლაგებული, ეს წარმატების ნიშანია, თუ ჯვრის ფორმით – წარუმატებლობის.

საშობაო, საახალწლო...

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲬᲔᲡ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

თეთრი წვერით, წითელი ჩაჩით და...პლაჟის შორტებით

ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ, სადაც კი ახალი წლის დადგომას აღნიშნავენ, ამას, ცხადია, თავისი ადათ-წესის მიხედვით აკეთებენ. წინასაახალწლო დღეებში ტრადიციულად გთავაზობთ ხოლმე ცნობებს სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული რიტუალებისა თუ უჩვეულო ცერემონიების შესახებ. ასე მოვიქცევით ამ ჯერზეც და ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ

ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲡ **სწამთ, რომ ახალი წლის გზა ავი სულებითაა გარშემორტყმული, მაგრამ კაშკაშა განათებასა და მაღალ ხმებს მათი განდევნა შეუძლიათ.** ამ უძველესი ცრურწმენის წყალობით, ახალი წლის მთელ ღამეს ჩინეთში ზეცას ათიათასობით ფეიერვერკი ანათებს და ჭექუნას ხმა გაისმის.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ

ᲚᲐᲗᲘᲜᲣᲠᲘ **ამერიკის ამ უმშვენიერეს ქვეყანაში ადგილობრივ მოსახლეობასა და ტურისტებს ახალი წლის შეხვედრა... პლაჟზე უყვარს.** ბრაზილიურ ტრადიციებს ღრმა წარმართული ფესვები აქვს, რომლებიც ოკეანის ქალღმერთ იემაიას უკავშირდება, უძველესი რიტუალების გამოძახილები კი დღესდღეობითაც ცოცხლობს. თავნება ქალღმერთის გულის მოსაგებად, ბრაზილიელები ახალი წლის მთელი ღამის განმავლობაში რიტუალურ ცეკვებს ასრულებენ და ხის შანდლებით წყალზე ანთებულ სანთლებს აცურებენ. მათ სწამთ, რომ თუკი ამ დროს კაცი რაღაცას ჩაიფიქრებს, ნატვრა აუცილებლად აუსრულდება.

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ **ნახევარსფეროში მცხოვრები ავსტრალიელები ახალ წელს, ჩვეულებრივ, ჩრდილოეთის ნახევარსფეროში მცხოვრებ ხალხებთან ერთად აღნიშნავენ, ოღონდ ეგ არის, რომ ზამთრის თვეები ამ კონტინენტზე წლის ყველაზე ცხელი დროა.** სადღესასწაულო დღეებში ადგილობრივ სანტა-კლაუსებს უმეტესად საოკეანო პლაჟებზე შეხვდებით, სადაც ავსტრალიელები ახალ წელს ხვდებიან ხოლმე. მათ, ჩვეულებრივ, თოვლის პაპის იერის ტრადიციული ნიშნებით – თეთრი წვერითა და წითელი ჩაჩით ადვილად გამოარჩევთ, მაგრამ ჩვენთვის ჩვეულ თბილ ქურქს... პლაჟის წითელი შორტები ცვლის...

ᲙᲣᲑᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ **ᲬᲚᲘᲡ** **დადგომამდე ყველა კუბელი ერთი საქმითაა დაკავებული – ისინი ოჯახებში ყველა ჭურჭელს გულმოდგინეთ ავსებენ წყლით, რომ ზუსტად შუაღამეს ის... ფანჯრიდან გადაასხან.** ეს ტრადიცია ძველი წლის დასასრულს აღნიშნავს, ამიტომაც კუბელები მას წყალივით ანკარა გზას უსურვებენ. ამ „ჩანჩქერებში“ მოყოლილი ადგილობრივებიც და ულამაზესი ჰავანის სტუმრებიც დასველების გამო დიდად არ ნაღვლობენ – დეკემბრის ტემპერატურა კუბაში ცელსიუსის 30 გრადუსს აღწევს!

ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲘ

ᲡᲝᲜᲒᲙᲠᲐᲜᲘ **– ასე ეწოდება ტაილანდურ ახალი წლის დღესასწაულს, რომელსაც აპრილის შუა რიცხვებში, ამ ქვეყანაში საკმაოდ ცხელ დროს აღინიშნება.** ამან საზრიანი ტაები არ დააბნია და მათ ახალი წლის შეხვედრის საკუთარი ორიგინალური ტრადიცია მოიგონეს – გამვლელთა წყლით გაწუწვა. ამიტომაცაა, რომ ახალი წლის დღეებში ქუჩაში ერთ მშრალად დარჩენილ ვერც ქალსა თუ კაცს, დიდსა თუ პატარას ვერ ნახავთ. თანაც, ადგილობრივთა რწმენით, წყალი არა მარტო აგრილებს ხალხს პაპანაქებაში, არამედ წლის მანძილზე დაგროვილი უბედურებებისგან კაცს წმენდს.

ᲩᲕᲔᲜᲘ **პატარებისთვის ბევრი ღირსშესანიშნავი ღონისძიება გაიმართება დედაქალაქში ახალი წლის ამ საზეიმო დღეებში, მაგრამ, ალბათ არავის გაუკვირდება, თუკი ყველას მაინც ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი აჯობებს.**

ერთი რომ 25 დეკემბრიდან მოყოლებული ყველა სპექტაკლზე დასასწრებ ბილეთებზე საშობაო ფასდაკლება მოქმედებს, მეორეც ის, რომ 2 იანვრიდან მოყოლებული თეატრში საახალწლო შოუ გაიმართება, რომლის ერთ-ერთი მეტად მიმზიდველი მხარე ის იქნება, რომ ახალი წლის მეკვლე ყველასათვის საყვარელი მსახიობი გივი ბერიკაშვილი იქნება.

სანტას მისალოცი ბარათი

ᲐᲮᲐᲚ **ᲬᲚᲔᲚᲡ** **ქართველი ბავშვები ინტერნეტ-სივრცეშიც საკმაოდ ხალისიანად აღნიშნავენ, თანაც წლეულს ამ მხრივ მეტად საგულისხმო სიახლეცაა.**

სპეციალურად საახალწლოდ შეიქმნა ინტერნეტ-გვერდი tovlisbabua.ge, რომლის მომხმარებლებს ონლაინ-რეჟიმში თოვლის პაპისთვის... წერილის შეკვეთა შეუძლია. ამის შემდეგ პატარა სანტა-კლაუსისგან ხმოვან წერილსა და საგანგებო სიგელს მიიღებს – იგი ყველა ბავშვს სახელით მიმართავს და ახალი წლის მობრძანებას მიულოცავს.

საახალწლო დღესასწაულის მოლოდინი

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ **მეტად ახალი წლის მობრძანება, რაღა თქმა უნდა, ჩვენს პატარებს ისევე უხარიათ, როგორც ოდესღაც მათ მშობლებსა და ბებია-ბაბუებს უხაროდათ, ოღონდ ახლა ბევრი უფროსი ამ დღესასწაულს, სამწუხაროდ, ცოტა გულგრილად ხვდება. ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ ჩვენ ახლა ზღაპრებისა აღარ გვჯერა, ბავშვებს კი თოვლის პაპისაც სწამთ და „მის“ საჩუქრებსაც მოუთმენთლად ელიან.**

ᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲕᲘᲗ ᲚᲐᲦᲘ!

იმიტომაცაა ახალი წელი გამორჩეული, რომ ამ დღესასწაულზე უფროსებსაც შეუძლიათ ბავშვობის ჯადოსნურ სამყაროში ცოტა ხნით მაინც დაბრუნება და მასში თავიანთი პატარებისთვის მეგზურობის გაწევაც. ხოლო როცა ბავშვი ბედნიერია, მისი გაცისკროვნება, თუნდაც უნებლიეთ, უფროსებსაც გადაედებათ. სხვათა შორის, ფსიქოლოგები იმასაც არიან დაკვირვებულნი, რომ ოჯახებში, სადაც ბავშვები იზრდებიან, უფროსებს გუნებ-განწყობასთან დაკავშირებით ნაკლები პრობლემები აქვთ, რადგან დიდი ხნით მოსაწყენად უბრალოდ დრო აღარ რჩებათ.

ᲒᲐᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔᲗ ᲒᲐᲠᲔᲛᲝ!

იმაში, რომ ყველა დღესასწაულს განსაკუთრებული საზეიმო რიტუალი ახლავს, ღრმა ფილოსოფიური არსია ჩადებული.

ესენი თავისებური „ფსიქოლოგიური ღუზებია“, რომლებიც მუდამ ამა თუ იმ დღესასწაულიდან ასოცირდებიან და საამისო ხასიათზეც გვაყენებენ. ამიტომაც, ახალ წელს სახლიც და სამუშაო ადგილიც აუცილებლად ხასხასა საახალწლო სიმბოლიკით მორთეთ, მოუსმინეთ მხიარულ მუსიკას, უცქირეთ სახალისო კინოფილმებს, სამოსელიც შესაფერისი შეარჩიეთ, თუნდაც ეს თოვლის პაპის ჩაჩი იყოს!

ᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲡᲢᲘ!

ახალ წელს აუცილებლად კარგი განწყობით, დადებითი ემოციებით შეხვდით. განუხორციელებელი გეგმებისა და აუხდენელი ოცნებების გამო სევდა, სამსახურის პრობლემები და სხვა უსიამო ამბები ძველ წელს გაატანეთ.

მუდამ გახსოვდეთ, რომ ცხოვრებაში რუხ და შავ ზოლს აუცილებლად თეთრი მოყვება, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა სირთულე დასაძლევია და წარმავალი. ყველა შემთხვევაში ოპტიმისტი უნდა დარჩეთ, თუნდაც იმ მარტივი მიზეზით, რომ ისინი უფრო დიდ ხანს ცოცხლობენ! ამიტომაც ნურც თოვლის პაპის, ნურც ფიფქიას, ნურც ბაჭიის თუ სხვა ცხოველის სამოსელის მორგებას ნუ მოერიდებით და კარგადაც მოილხინეთ!

ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲔᲜᲔᲗ!

საახალწლოდ კიდევ უფრო კარგ ხასიათზე რომ დადგეთ, წარსულის სადღესასწაულო ამბები გაიხსენეთ – თითოეულ ჩვენგანს ხომ უამრავი ასეთი ტკბილი მოსაგონარი გვაქვს! კარგი მოგონებები კი თქვენს ტვინს პოზიტიურ ტალღაზე განაწყობს და, სავსებით შესაძლებელია, ახალი იდეები და ფანტაზიები გაგიღვიოთ.

ᲘᲝᲪᲜᲔᲑᲗ!

რაღაცის ჩაფიქრებისას ყველაზე მთავარი ისაა, რომ ნატვრა მაქსიმალურად განზოგადებულად ჩამოაყალიბოთ. პირობითად რომ ვთქვათ, ნატვრა ისეთი უნდა, რომ მას ზუსტი „მისამართი“ არ ჰქონდეს: უმჯობესია, უბრალოდ, ვთქვათ, დიდი სიყვარული ინატროთ და არა რომელიმე კონკრეტულ პირთან სამარადჟამო ურთიერთობა. ეს სიყვარულის თუ მატერიალური კეთილდღეობის ძიების უფრო ფართო სპექტრზე განგაწყობთ, თუმცა კი, საყვარელი ადამიანისგან თავის შორს დაჭერას, ცხადია, არავინ გირჩევთ. საქმე ისაა, რომ, ვისაც გნებავთ, ჰკითხოთ, სიყვარულს და, მით უმეტეს, მისი ნიუანსების ინტერპრეტირებას თითოეული თავისებურად მოახდენს, იგივეს თქმა შეიძლება მატერიალურ კეთილდღეობაზე. ამიტომაც, მთავარია, საკუთარ თავს სწორი გეზი შეურჩიოთ და აუცილებლად გახსოვდეთ, რომ აზრი მატერიალურია.

ამიტომაც, თუკი მუდამ სიკეთეზე არ იფიქრებთ, მისკენ მისწრაფებული არ იქნებით, მაშინ ის ძნელად თუ მოგეგებად.

იყავით კეთილმოსურნენი, გულისხმიერნი, მოსიყვარულენი და ჯანმრთელნი!

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!

„მაიმუნური“ მოდა

ᲮᲐᲚᲮᲨᲘ **ამბობენ, – ახალ წელს როგორც შეხვდები, ისევე გაატარებო. შესძალოა თქვენ ცრურწმენებისა არ გჯერათ, მაგრამ, მოდით და, რაც არის – არის, ილბალს ცოტათი თქვენც „გაეთამაშეთ“: ახალი წელი ხომ ბავშვობიდან მობრძანებული დღესასწაულია. ამიტომ, ძვირფასო ქალბატონებო, იქნებ დაგაინტერესოთ, თუ როგორ სამოსელში გამოწყობილი უმჯობესია შეხვდეთ 2016-ს, ცეცხლოვანი მაიმუნის წელიწადს.**

ᲤᲔᲠᲘ

ასტროლოგების პროგნოზით, ცეცხლოვანი მაიმუნის წელიწადში საკმაოდ ბევრი რამ მოხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას ხასხასა სამოსელში გამოწყობილი უნდა შეხვდეთ: ეს, სასურველია, იყოს წითლის როგორც ცივი, ასევე თბილი პალიტრის ყველა ელფერი – ძოწისფერი, ბორდო, ლალისფერი, ჟოლოსფერი, ნარინჯისფერიც კი. არანაკლებ წარმატებული იქნება ოქროსფერი სამოსელი. მაიმუნს არა მარტო დინამიური ფერები უყვარს, არამედ ბრჭყვიალა სამკაულებიც. ამიტომ კარგი იქნება თუკი თავს ოქროსა და ვერცხლის ძვირფასეულობით დაიმშვენებთ, რათა ახალ წელს ბარაქა მოყვეს.

ᲡᲐᲛᲝᲡᲔᲚᲘ

საახალწლო წვეულებაზე უმჯობესი იქნება ერთი ფერის დეკოლტირებული კაბის ჩაცმა, არჩევანი კი სჯობს, დახურულ სახელოებიან მოდელზე შეაჩეროთ. ასევე ურიგო არ იქნება სადღესასწაულო კოსტიუმი და ქვედა ბოლო, ანდა მოგუდული ფერის კაბა-ფუტლარი. 19 საათის შემდეგ შეგიძლიათ მძივებით მორთული საღამოს კაბის ჩაცმა. არ დაგავიწყდეთ: კაბა არა მარტო კარგად მორგებული უნდა გქონდეთ ტანზე, არამედ რამდენიმე საათის განმავლობაში კოხტა სანახავიც უნდა იყოს.

სატენდერო მოწვევა

საქართველო

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საავტომობილო გზების დეპარტამენტი

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტი (SLRPIII) (P148048) სატენდერო მოწვევა # SLRPIII/CW/ICB-01

პროექტირება-მშენებლობის განხორციელება გურჯაანი-ბაკურციხის შემოვლითი გზის მონაკვეთის მშენებლობისთვის/გაუმჯობესებისათვის შედეგსა და შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის (OPRC) ფარგლებში

1. საქართველოს მთავრობამ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მიიღო მსოფლიო ბანკის დაფინანსება შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება კონტრაქტის - პროექტირება–მშენებლობის განხორციელება გურჯაანი-ბაკურციხის შემოვლითი გზის მონაკვეთის მშენებლობისთვის/გაუმჯობესებისათვის შედეგსა და შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის (OPRC) ფარგლებში სამუშაოების ასანაზღაურებლად.

2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს, რომ განახორციელოს საცდელი შედეგსა და შესრულებაზე დაფუძნებული საგზაო კონტრაქტები (OPRC), რათა ამ მეთოდის გამოყენებით უზრუნველყოფილ იქნას მდგრადი და ხარჯთ-ეფექტური საგზაო აქტივების მართვა და ამავდროულად დაკმაყოფილდეს გზებით მოსარგებლეთა საჭიროებები. კონტრაქტის განხორციელების პერიოდია 30 თვე ამას დამატებული 24 თვე დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.

3. სამუშაოების შესყიდვა ჩატარდება საერთაშორისო ტენდერის (ICB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში)" და სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად ღიაა მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პრეტენდენტისთვის.

4. დაინტერესებული, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად უნდა დაუკავშირდნენ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ბ-ნ ირაკლი ლითანიშვილს ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

5. პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიაროს საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა 14,400,000 (თოთხმეტი მილიონ ოთხასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან დასრულებული კონტრაქტების ფარგლებში მიღებული გადასახადებიდან;

ბ. პრეტენდენტის მხირდან წარმოდგენილი უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების, საკრედიტო საშუალებების, იპოთეკით დაუტვირთავი უძრავი ქონების, სხვა ფინანსური საშუალებების, გარდა ავანსის სახით მიღებული გადახდებისა, ხელმისაწვდომობის დასტური:

ა. ლიკვიდურ აქტივებზეა შემდეგი მოთხოვნა: 2,400,000 (ორი მილიონ ოთხასი ათასი) აშშ. დოლარის ოდენობით.

ბ. აღნიშნული კონტრაქტისთვის და სხვა მიმდინარე ვალდებულებებისთვის საჭირო მთლიანი ლიკვიდური აქტივები.

გ. ერთობლივი საწარმოს წევრის, კონტრაქტორის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის მინიმუმ ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში სატენდერო წინადადებების წარმოდგენის თარიღამდე, და ყოველ წელს მინიმუმ ცხრა (9) თვიანი მუშაობის გამოცდილება.

დ. ერთობლივი საწარმოს წევრის, კონტრაქტორის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სახით მონაწილეობის მიღება მინიმუმ ერთი (1) გზის რეაბილიტაციის/ რეკონსტრუქციის/მშენებლობის კონტრაქტში უკანასკნელი ხუთი (5) წლის განმავლობაში ღირებულებით არანაკლებ 14,400,000 (თოთხმეტი მილიონ ოთხასი ათასი) აშშ. დოლარი ან ორ (2) კონტრაქტში, ღირებულებით არანაკლებ 8,000,000 (რვა მილიონი) აშშ. დოლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და ძირითადად დასრულდა და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების და მომსახურების ანალოგიურია.

ე. მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად აქტივობებში:

- არანაკლებ 80 000 m^2 გზის საფარის რეაბილიტაცია/მშენებლობა დასრულებული უკანასკნელი 5 (ხუთი) წლიდან რომელიმე ერთი წლის განმავლობაში;
- არანაკლებ 2 000 m^2 ხიდის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია/მშენებლობა დასრულებული უკანასკნელი 5 (ხუთი) წლიდან რომელიმე ერთი წლის განმავლობაში;

ვ. პრეტენედენტი უნდა აკმაყოფილებდეს დეტალური პროექტირების მოთხოვნებს შემოთავაზებული ქვე–კონტრაქტორების ან ერთობლივი საწარმოს პარტნიორების დახმარებით. ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში სატენდერო წინადადების წარდგენამდე პრეტენდენტს/ერთობლივი საწარმოს პარტნიორს/ქვე–კონტრაქტორს უნდა ჰქონდეს გამოცდილება მინიმუმ ორი (2) საფარიანი გზის რეაბილიტაციის / რეკონსტრუქციის / მშენებლობის პროექტირებისთვის წარმატებით დასრულებულ კონტრაქტში ღირებულებით არანაკლებ 450,000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარი.

6. დაინტერესებულ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მთლიანი პაკეტის ინგლისურ ენაზე შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან მისი ექვივალენტის აშშ. დოლარში გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

ეროვნულ ვალუტაში გადახდისთვის:

მიმღები: ხაზინის ანგარიში

ხაზინის ანგარიშის №200 122 900

მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

ბანკის ძველი კოდი (220 101 222)

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302 007 800

სავალუტო ანგარიშის №001 189 362

აშშ. დოლარში გადახდისთვის:

შუამავალი:FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA

SWIFT CODE: FRNYUS33

მიმღები აგენტი:

ACC.NO: 0D

BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)

SWIFT CODE: BISBCHBB

ბენეფიციარი ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი

SWIFT CODE: BNLNGE22

ბენეფიციარი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი)

IBAN: GE65NB0331100001150207

გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის (მითითებული იქნას ს/გზის მონაკვეთის დასახელება).

მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტებს საკუთარი ხარჯებით კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ დოკუმენტაცია.

7. სატენდერო წინადადებები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2016 წლის 16 თებერვლის 17:00 საათისა ადგილობრივი** დროით. წინადადებები ელექტრონული ფორმით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები გაიხსნება პრეტენდენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პირადად დაესწრონ ტენდერს **2016 წლის 16 თებერვლის 17:00 სთ-ზე** ადგილობრივი დროით.

8. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 800,000 ლარის ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობით. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში.

9. დამკვეთის მისამართი, სადაც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებები:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

შესყიდვების სამმართველო, IV სართული

ალ. ყაზბეგის გამზირი №12, 0160 თბილისი, საქართველო

ტელ: + 995 322 37-05-08 დამ. 305

ფაქსი: + 995 322 31-30-34

ელ. ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდის მისამართი: www.georoad.ge

დედამიწის ზურგზე

სააგენტო BLOOMBERG -მ სირიასთან დაკავშირებით პუტინისა და კერის მოლაპარაკებათა დანვრილებითი ამბები შეიტყო

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ჯონ კერისთან ამასწინანდელი მოლაპარაკების დროს განაცხადა სირიის ლიდერის ბაშარ ასადის 2017 წლის პრეზიდენტის არჩევნებში დაშვების შეუძლებლობის შესახებ, ამტკიცებენ წყაროები. მან ასევე განაცხადა, რომ ასადი მოიგებს არჩევნებს, თუ მასში მიიღებს მონაწილეობას.

ჩინეთის ხელმძღვანელმა მოუწოდა ჩინოვნიკებს, თვალყური აღევნონ ხელქვეითებსა და ოჯახის წევრებს

სი ცზინპინის სიტყვებით, ჩინეთის ხელმძღვანელებმა გაკვეთილად უნდა აიღონ მთელი რიგი კორუფციული სკანდალები, რომელთა შედეგადაც გასამართლდნენ მათი მაღალი რანგის კოლეგები, და „მკაცრად გაზარდონ და აკონტროლონ" თავიანთი ბავშვები და ოჯახის სხვა წევრები, აგრეთვე ხელქვეითებიც, რათა არ დაუშვან კორუფციის ახალი შემთხვევები.

„აეროფლოტის" თვითმფრინავი ნიუ-იორკიდან მოსკოვისკენ ფრენის დროს ბორტზე მშობიარობის

გამო კანადაში დაჯდა

რეისი SU101 გაფრინდა ჯონ კენედის სახელობის აეროპორტიდან სამშაბათს საღამოს და იგი მოსკოვში უნდა დაშვებულიყო ოთხშაბათს დილით, მაგრამ ერთ-ერთი მგზავრის მშობიარობის გამო ხომალდის უფროსმა მიიღო გადაწყვეტილება, დაესვა თვითმფრინავი კანადის ქალაქ განდერის აეროპორტში კუნძულ ნიუფაუნდლენდში.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ავტოკატასტროფაში დაიღუპა კიმ ჩენ ინის თანამებრძოლი, რომელიც სამხრეთ კორეასთან ურთიერთობებს კურირებდა

კორეის შრომის პარტიის მდივანი კიმ იან გონი არაერთგზის იყო სამხრეთში და კარგად იცნობდნენ მას სამხრეთელები. სეულში იგი მიაჩნდათ კიმ ჩენ ინის ერთ-ერთ მთავარ თანამებრძოლად და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წამყვან დიპლომატად, რომელიც პასუხს აგებდა ფხენიანის პოლიტიკაზე სამხრეთ კორეასთან დაკავშირებით.

ჩინეთში თაბაშირის მაღაროს ჩამონგრევიდან 5 დღის შემდეგ აღმოაჩინეს 8 ცოცხლად დარჩენილი კაცი

სპეციალური კამერების დახმარებით ხალხი შენიშნეს ნანგრევებში. 5 დღე-ღამის განმავლობაში მიწისქვეშ უსაჭმელოდ დარჩენილი მაღაროელები ძალიან დასუსტდნენ შიმშილისაგან. მაგრამ მთლიანად მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას აფასებენ როგორც კარგს.

ირანმა განახორციელა სასნავლო სროლები ამერიკის შეერთებული შტატების ავიამზიდის მახლობლად

ირანის კატარღებმა ორმუზის სრუტეში გაუშვეს რამდენიმე უმართავი რაკეტა დაახლოებით 1,4 კილომეტრის მანძილზე ამერიკული ავიამზიდის „ჰარი ტრუმენის" მარჯვენა ბორტიდან. და თუმცა, რაკეტები არ იყო გამიზნული ავიამზიდზე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ისლამის რესპუბლიკის მოქმედება შეაფასა, როგორც „უსაფუძვლოდ პროვოკაციული".

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექ-ტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქ-ციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტი სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მინისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა ნარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა სამუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით, ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცილით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ბერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპეჟება, ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	მცხეთა, სოფ. წიღკანის ტერიტორია. (მიწისქვეშა მტკნარი წყალი სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 40 000 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	მცხეთა, სოფ. წიღკანის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	1 293 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	129,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	847 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 31 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მოსაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 2		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტი სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იმყოფითი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. სამტრედიის მიმდებარე ტერიტორია, შდ. ცხენისწყალის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 33 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. სამტრედიის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	5 023 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	502,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 712 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 31 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მოსაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 3		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტი სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იმყოფითი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მიქელწყაროს მიმდებარე ტერიტორია, „მიქელწყაროს" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 26 400 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მიქელწყაროს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	4 292 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	429,2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი	2 346 ლარი

	საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 31 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	2 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 4		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. დ) ლიცენზიის მფლობელმა შესრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია, მდ. თურდოს ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 30 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	4 877 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	487,7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 639 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 31 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	2 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 5		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ობიექტის დამუშავების დროს უნდა გამოირიცხოს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება. გ) წიაღისეულის ექსპლუატაციის პროცესში არსებული ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვება განახორციელოს ისეთი მეთოდით, რომელიც ზიანს არ მიაყენებს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კარსტულ წარმონაქმნებს, ხოლო კარსტული ხიცარიელეების გამოვლინების შემთხვევაში შეჩერებულ იქნას მოპოვებითი სამუშაოები და ეცნობოს შესაბამის სამსახურს. ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნავენახევის მიმდებარე ტერიტორია, „ნავენახევის" კირქვის (სამშენებლო) გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 110 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნავენახევის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	5 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 31 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	15 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 6		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული)

		ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება. ზ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შენიღბვა. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჯურუყვეთის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 500 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჯურუყვეთის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	49 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	4,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	225 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 31 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1
	თარიღი	თებერვალს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 7		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის
		და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. ჩოხატაური, პარკი კოსტავას ქუჩაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 730 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. ჩოხატაური, პარკი კოსტავას ქუჩა
8	აუქციონის საწყისი ფასი	24 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	2,4 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	212 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 31 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 8		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57
		ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი

		რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. ქუთაისი, მშენებელის ქ., N10, ნაკვ. N 1-1, (მიწისქვეშა მტკნარი წყალი სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 3 650 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. ქუთაისი, მშენებელის ქ., N10, ნაკვ. N 1-1
8	აუქციონის საწყისი ფასი	118 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	11.8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	259 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 31 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 9		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოების დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები,
		რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება. ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს წერილით (#11743/09 02.12.2015წ.) განსაზღვრული სალიცენზიო პირობები. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნატახტრის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P. მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 100 000 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნატახტრის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	3 232 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	323,2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	1 816 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 31 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 10		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სს „საქართველოს რკინიგზის" 2015 წლის 17 ხუთშაბათის №5794 წერილით გათვალისწინებული პირობები კერძოდ: კარიერის წლიური მოპოვება (წარმადობა) არ უნდა აღემატებოდეს 70 000 მ³, ხოლო ყოველი წლის შემდეგ აუცილებელია ახლიდან განხორციელდეს რკინიგზის ხიდის და მდინარის კალაპოტის მონიტორინგი, და დადებითი დასკვნის საუძველზე გაგრძელდეს მოპოვებითი სამუშაოები; დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ
		შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იმვითი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ნოსირის მიმდებარე ტერიტორია. მდ. ტეხურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება. (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 82 500 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ნოსირის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	11 062 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 106.2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	9 050 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 31 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 თებერვალს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის
		ვადაში

◎ სეოკ-ში

წლის სპორტსმენი — ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

გორელმა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა (57 კგ) მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე მედლების ათვლა 2011 წელს დაიწყო — მაშინ ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზეც მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. შარშანწინ ევროპაზე ბრინჯაოს დაყაბულდა. სამაგიეროდ, ერთი წლის შემდეგ კონტინენტის პირველობაზე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ხოლო მსოფლიოზე ვერცხლის მედალი ხვდა. და აი, წლეულს ლასვეგასში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა მეტოქეს აჯობა და მკერდი ოქროს მედლით დაიმშვენა. საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გარჯა დაუფასა გორელ ფალავანს — წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა. გუშინ სეოკ-ში ვლადიმერ ხინჩეგაშვილს შეხვედრა მოუწყვეს. მსოფლიოს ჩემპიონს მიესალმნენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, პირველი ვიცე პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, ვიცე პრეზიდენტები — ნინო სალუქვაძე და მამუკა ხაბარელი. წლის საუკეთესო სპორტსმენმა სეოკ-ის მესვეურთ დაფასებისთვის მადლობა გადაუხადა.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: მარცხნიდან — ელგუჯა ბერიშვილი, ლერი ხაბელოვი, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი.
ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ კანონი კანონია!

პლატინი ახალი სასჯელის მოლოდინშია



უეფას დისკვალიფიცირებული პრეზიდენტი მიშელ პლატინი ფიფას ეთიკის კომიტეტისგან ახალი სასჯელის მოლოდინშია. ფრანგი დუბაიში გამართულ Globe Soccer Awards-ის დაჯილდოებაზე იმყოფებოდა, სასჯელის მიხედვით კი მას აღნიშნულ ღონისძიებაზე ყოფნა ეკრძალებოდა. ინფორმაციას როიტერი ავრცელებს.

21 დეკემბერს მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის ეთიკის კომიტეტმა ზეპ ბლატერს და მიშელ პლატინის საფეხბურთო საქმიანობა 8 წლით შეუჩერა. ორივე საფეხბურთო მოხელეს ყველანაირი საფეხბურთო საქმიანობა ეკრძალება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ჯერჯერობით უცნობია, თუ რას გადაწყვეტს ეთიკის კომიტეტი და რა ახალ სასჯელს დაუდგენს ფრანგს.

ბლატერმა პლატინის 2 მილიონი ფრანკი 2011 წელს გადაუხადა, რის გამოც გამოძიება ჩატარდა და მაღალჩინოსნების ქმედება არალეგალურად მიიჩნიეს. ორივე მოხელემ ეთიკის კომიტეტის გადაწყვეტილება ლოზანაში მდებარე სპორტულ-საარბიტრაჟო სასამართლოში გაასაჩივრა.

გიორგი შოთაძე

◎ წყალბურთი

ფავორიტებს აჯობეს

სტამბოლში მიმდინარე წყალბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის ოთხი ფინალისტი მონაწილეობს — თურქეთი, საქართველო, რუმინეთი და ჰოლანდია. ჩვენი გუნდი იოვან პოპოვიჩისა და ვლადიმერ ისელიძის ხელმძღვანელობით ასეთი შემადგენლობით ჩავიდა სეჯიბრებაზე: ბექა ქავთარაძე, დამირ ცრეპულია, ზურაბ რურუა, მისეილ ბაღათურია, გიორგი ხვედელიანი, რევაზ იმნაიშვილი, ივან სტრუიჩი, მარკო ელეზი, მარკო ელაჩა, ანდრია ბითაძე, ხვიჩა ჯახაია, კონსტანტინე გეგელაშვილი, ნიკოლოზ შუბლაძე, ალექსანდრე ყაზახიშვილი, ლევან ჩიქვინიძე, ზურაბ ჩიკვაიძე.



ასპარეზობის სტარტზე საქართველოს ნაკრებმა მასპინძლებს სძლია — 14:10, ხოლო ჰოლანდიამ რუმინეთი დაამარცხა — 12:6. მეორე ტურში ჩვენებმა რუმინეთს მოუგეს 12:9, ნიდერლანდელებმა კი თურქებს აჯობეს 12:7. მესამე ტური: საქართველო-ჰოლანდია, თურქეთი-რუმინეთი.

2016 წლის 10-23 იანვარს ბელგრადი წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები შეჯიბრებაში ზედიზედ მეორედ ითამაშებს. ნაახალწლევს ჩვენი გუნდი ამსტერდამს მიაშურებს და ჰოლანდიასთან ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს, მერე ნოვი სადში ჩავა საწვრთნელ შეკრებაზე, 11 იანვარს კი ბელგრადში კონტინენტის პირველობაზე რუმინეთს შეხვდება, 13 იანვარს გერმანიას, 15-ში კი იტალიას გაუწევს მეტოქეობას.

გივი გაგუა

◎ ჭადრაკი

ბელას მესამე ადგილი ერგო

ყატარში დამთავრდა მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 130.000 დოლარი). შესანიშნავად ითამაშეს ვაჟთა შორის მსოფლიოს ჩემპიონმა მაგნუს კარლსენმა (ნორვეგია) და შარშანდელი მსგავსი ტურნირის გამარჯვებულმა იუი იანმა (ჩინეთი). მას შემდეგ, რაც ბოლო ტურში კარლსენი ვლადიმირ კრამნიკს დაუზავდა, ხოლო იანმა უესლი სოს (აშშ) მოუგო, ორივემ 9-9 შესაძლებლიდან 7-7 ქულას მოუყარა თავი. ტაი ბრეიკში გაიმარჯვა ნორვეგიელმა და ასპარეზობის მთავარი პრიზი (27.000 დოლარი) დაიმსახურა. მეორე ადგილზე იანი (16.000) გავიდა, ხოლო მესამე ადგილი კრამნიკს (12.000) ერგო. ტურნირში ოთხი ქართველი დიდოსტატი ქალიც მონაწილეობდა. მათგან უკეთესი შედეგი აჩვენა ბელა ხოტენაშვილმა — ხუთი ქულა. ამდენივე ქულა მოაგროვა წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ალინა კაშლინსკაიამ (რუსეთი), რომელსაც უკეთესი კოეფიციენტით მეორე ადგილი ხვდა. ქართველი მოჭადრაკე მესამე იყო. ორივე დიდოსტატი 3250-3250 დოლარით დაჯილდოვდა. პირველი ადგილი ჩინელმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ჰოუ იფანმა (8.000 დოლარი) დაიკავა.

დანარჩენ ქართველთა მონაგარი ასეთია: ნანა ძაგნიძე — 4, ნინო ბაციაშვილი (2015 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი სტარტზე მაგნუს კარლსენს დაუზავდა) — 3.5, სოფიო გურამიშვილი — 3 ქულა.

ლაშა დიდია

◎ არჩევანი

ფიბამ თბილისს მინსკი ამჯობინა

ფიბას გადაწყვეტილებით 3X3 კალათბურთში ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს ბელარუსის დედაქალაქი მინსკი უმასპინძლებს. ამის შესახებ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ვეტერანმა კალათბურთელმა მიხეილ გაბრიჩიძემ განაცხადა.

შეგახსენებთ, რომ მინსკს გარდა აღნიშნული ტურნირის ფინალური ეტაპის მასპინძლობაზე პრეტენზიას თბილისიც აცხადებდა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფიბამ არჩევანი მინსკზე შეაჩერა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ირინა შეიკმა საცვლები ამოალაგა

ევროპაში ხმა გავარდა, ირინა შეიკი დამდგარა, თავისი ძველი საცვალ-ნიფხვობანი ამოულაგებია, ზედ ძველი ფოტოკოლექციაც დაუწყვია, მისულა აუქციონის გაქექილ ხალხთან და უთქვამს: აგერ მე ჩემი წარსული მომიტანია, დამიწყვია და ახლა თქვენ იცით, ეს ყველაფერი კარგ ფასად გამიყიდეთო.

საქმე კი ისაა, რომ ირინა შეიკს თურმე თავისი წარსული დღეები, რაც კრიშტიანუ რონალდუსთან ერთად გაუტარებია, ახლა უკვე აღარ ეპიტნავება და საკუთარ წარსულს ისე გაურბის, როგორც ძაღლი თავის კუდს და როგორც ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ პუტინი ნავთობის ფასებს.

მოკლედ, რა ჯობია, თუკი პოპულარული ვინმე ხარ და ამ ნიფხავ-ფოტოებით ფულის შოვნაც შეგიძლია...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ფოტოზე შემორჩენილი ახალგაზრდობა

შეხვედრა რეკონსტრუქციამდელ „დინამოს“ სტადიონზე. 1950 წელი.
მოგვაწოდა რუსუდან მაისურაძემ

◎ დღესასწაული

ზოზინაყიანი მაიმუნი

უკვე დიდი ხანია, ჩვენებურ ტრადიციულ საახალწლო დღესასწაულს ერთგვარად „აღმოსავლური“ იერი დაჰკრავს და, იმის მიუხედავად, რომ ჩინური თუ იაპონური მთვარის ახალი წელი დასავლურ 1 იანვარს არ ემთხვევა, აღმოსავლური ჰოროსკოპით დამდეგი წლის ცხოველები და ფერები ერთგვარად ყველა ოჯახის სამზადისში დომინირებენ. მაგრამ, ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ, ჩინური და ჩვენებური ახალი წელი ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება.

ჩინეთში 1911 წლის ანტიმონარქისტული რევოლუციის შემდეგ, ამ დღეს **„ჩუნძეს“** ანუ **გაზაფხულის დღესასწაულს** უწოდებენ, თუმცა კი მანამდე მას, ჩვეულებრივად, „ახალი წელი“ — **„სინიანი“** ერქვა. ძველი მითის თანახმად, საშინელი ურჩხული ნოანი ყოველთვის ზამთრობით ეცემოდა ხოლმე თავს ჩინეთს, ხეების მწვანე სამოსელს ნთქავდა და მიწას ყინავდა. მაგრამ მას საოცრად ეშინოდა ტკაცუნებისა და ფეიერვერკების, აგრეთვე წითელპერანგა ბავშვების. მას შემდეგ, **ახალ წელს ცისქვეშეთში წითელ სამოსელში გამოწყობილები ხვდებიან** — ესაა ბედნიერების, სიმდიდრისა და კეთილდღეობის ფერი. ასევე აქტუალურია ბენგალიური ცეცხლი, რომელიც ასევე აფრთხობს ავ სულებს. ისევე, როგორც ჩვენში, ახალ წელს ჩინეთშიც ორი კვირის მანძილზე აღნიშნავენ.

იმის გამო, რომ ყოველ ახალ წელიწადს, რომელიც ამა თუ იმ ცხოველს უკავშირდება (**იმ რიგისდა მიხედვით, რომელთაც ცხოველები ბუდასთან მივიდნენ და შემდეგ ხუთი ფერის შესაბამისად, რაც, მთლიანად 60-წლიან ციკლს შეადგენს — ო. ტ.**), ჩვენში საახალწლო სუფრაზე გარკვეული „პრიორიტეტების“ დაწესება იციან: მაგალითად, ღორის წელს მის ხორცს არ ჭამენ — არ „ეწყინოსო“, კურდღლის წელს სუფრაზე კომბოსტოსა და სტაფილოს დებენ — აქაოდა უყვარსო, ახლა კი, **წითელი ცეცხლოვანი მაიმუნის** დამდეგ წელს, ხალხი აქტიურად იმარაგებს ბანანებს. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ასეთი რამ ჩინეთში მიღებული არ არის: **იქაური, ასე ვთქვათ, ერთ-ერთი წამყვანი კერძია „ჯაოძი“, ერთგვარი ორთქლზე მოხარშული ღორის ხორცის ხინკალი, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთში ვერცხლის, სამხრეთში კი ოქროს ზოდების სიმბოლოს წარმოადგენს. მას უკლებლივ ყველა მიირთმევს, რათა დამდეგ წელს ბარაქა ჰქონდეს. საზეიმო მაგიდაზე მუდამ არის თევზი (როგორც დიდი შემოსავლის სიმბოლო), თუმცა ახალი წლის ღამეს მას ბოლომდე არ შეჭამენ, მაგრამ მკაცრად კი „დააბარებენ“: „დაე მაიმუნმა იმდენი თევზი მოგვიტანოს, რომ მის ჭამას ვერ აუვიდეთ!“ აუცილებლად ხარშავენ ატრიას, თანაც მის რაც შეიძლება უფრო გრძელის გაკეთებას ცდილობენ, რაც ხანგრძლივ სიცოცხლეს აღნიშნავს. მაგრამ ჩინეთში ჩვენებური საცივისნაირი №1 საახალწლო საჭმელი მაინც ღორის ხორციანი შვრიის ფაფაა, რომელსაც თავდაპირველად უფროსებს სთავაზობენ. მამაკაცებს ამ კერძის დამზადება აკრძალული აქვთ, ეს მხოლოდ ქალების საქმეა. მანდარინი კი ყველას სუფრას ამშვენებს — ეს ხილი წარმატების სიმბოლოა. ისევე, როგორც ქართველებმა, ჩინელებმაც ბარაქიანი სუფრის გაშლა იციან — რაც უფრო მეტია საჭმელი, მით უფრო ხვავიანი იქნება დამდეგი წელიც. თუმცა კი, ჩვენგან განსხვავებით, მაგარ სასმელებს ჩინეთში არ ეტანებიან: მთავარი სასმელია ლუდი, შემდეგ სუსტი ბრინჯის ღვინო. შამპანურს კი საახალწლო სუფრაზე საერთოდ ვერ ნახავთ, თუმცა მას, ფაქტობრივად, ჩინეთში საერთოდაც არ სვამენ.**

იმის გარდა, რომ **გაზაფხულის დღესასწაული ახალმთავრეობასაა მიბმული და, ამდენად, ზამთრის ბუნიობის შემდგომ, დაახლოებით 1 იანვრიდან 21 თებერვლამდე პერიოდში აღინიშნება, როცა კი ახალი წლის ღამეს დამდეგი ცეცხლოვანი მაიმუნის წლის სადღეგრძელოს ასწევთ, გახსოვდეთ, რომ ჩინელებისთვის ის მხოლოდ 8 თებერვალს დადგება.**

ჩვენგან განსხვავებით, ჩინეთში ახალი წლის აღსანიშნავად არც ნაძვის ხეების მორთვა იციან — მათ იქ მანდარინის ან ქლიავის პატარა ხეები ცვლიან, რომლებზეც ქაღალდის კოლოფებში ჩადებულ სურვილებს ჰკიდებენ. **ახალ წელს ჩინელები ერთმანეთს საჩუქრებსაც მიართმევენ ხოლმე. მაგრამ ეს, უმეტესწილად ფულია, რომელსაც მუყაოს წითელ კონვერტებში დებენ და იეროგლიფ „სიმდიდრეს“ აწერენ.**

მისალოცი საახალწლო ბარათები კი ჩინეთში საერთოდ არ იციან. **ბევრ ოჯახში (განსაკუთრებით პროვინციაში) ახალი წლის ღამეს სახლის შესასვლელ კარს წითელი ქაღალდით ლუქავენ, რომელზეც დრაკონი ან თოვლის ლომი ახატია — ჩინელები თვლიან, რომ ისინი ავ სულებს დევნიან, რომლებიც დიდი მონდომებით ცდილობენ დღესასწაულზე საცხოვრისებში შეღწევას.** ლუქს მხოლოდ მზის ამოსვლის შემდეგ ხსნიან, როცა სტუმრად ახლობელ-ნათესავებთან აპირებენ წასვლას.

ჩუნძეს დილამდე, თვალმოუხუჭავად ზეიმობენ, რადგან მიჩნეულია, რომ **თუ კაცი მთელ ღამეს ფხიზლად იქნება, ძილში დემონები მისი სულის დაპატრონებას ვერ შეძლებენ. ისინი კი, ვინც ერთმანეთზე ნაწყენია, ჩინური ადათ-წესით, აუცილებლად ერთმანეთს უნდა შეურიგდნენ და გულისტკენაც დაივიწყონ.**

ამის გარდა, გაზაფხულის დღესასწაულისთვის მიღებულია სახლის საფძვლიანად დალაგება, სხვა შემთხვევაში ჭუჭყი სხვა თვეებში „გადადინება“. დიდად პოპულარული მაგიური რიცხვები — **ჩუნძეს დღეებში საცხოვრისის სხვადასხვა კუთხეში ჩინელები რვა ლანგარს დგამენ ზედ დაწყობილი რვა სხვადასხვა სახეობის ჩირითა და დაშაქრული ხილით. ყველანი ვალების გასტუმრებას ცდილობენ — ცრურწმენით, დამდეგ წელს ყველანი გაცემულზე ორჯერ მეტს მიიღებენ.**

ახალი წლის პირველ დღეს ჩინელები ერთგვარ მარხვას იცავენ — არც საქონლის ხორცს ჭამენ, არც ფრინველისას, არ კლავენ არანაირ ცოცხალ არსებას — არც ბუზებს და ტარაკნებს. **ჩუნძეს ბოლო დღე-ღამე კი მანათობლების დღესასწაულით სრულდება — მთელი ქვეყნის მოსახლეობა, დიდიან-პატარიანა, ქუჩაში გამოდის და ცაში თვითნაკეთ ფარნებს უშვებს.**

ამის გარდა, ახალი წლის დასასრული ცოლის მოყვანის მსურველი ჩინელი მამაკაცებისთვის დასავლეთის წმინდა ვალენტინის დღის მსგავსია. ისინი ბაზარში მიდიან და პირველივე ხელში მოყოლილ მანდარინს ყიდულობენ. თუკი ნაყოფი ტკბილი გამოდგება, მომავალი ოჯახური ცხოვრებაც, უეჭველად, ასეთივე ტკბილი იქნება, ხოლო თუ მჟავე, აბა რას იზამ — ბედს ვერსად გაექცევი...

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

◎ მეგობრის გახსენება

როინ ალისანდია — 65

თანატოლები ვიყავით. 2006 წელს 55 წლის ვხდებოდით და ეს საიუბილეო თარიღი ერთად უნდა გადაგვეხადა. ადგილიც საგანგებოდ შერჩეული გვქონდა, მაგრამ ნაძირლების საშინელმა ქმედებამ ხელი შეგვიშალა. 2006 წლის აპრილის ერთ ღამეს, რამდენიმე შეიარაღებული ნიღბიანი სახლში შეუვარდა, შეკრეს და გამოძალვის მიზნით სასტიკად აწამეს. ფული და სხვადასხვა ძვირფასეულობა, რაც კი გააჩნდა, ყველაფერი დათმო, მოხუცი დედისა და არასრულწლოვანი ნათესავი გოგონას ხელშეუხებლობის გარანტია რომ მიეღო. მან ეს შესძლო, მაგრამ, სამაგიეროდ, წელს ზემოთ „კარგად“ დააუთოვეს. ალბათ ხვდებოდა, ვინ გასწირა ასე. გარკვეული პერიოდის შემდეგ საუბრისას წამოსცდა: „ისევ ნაცნობმა და ახლობელმა თუ არ გიღალატა, სხვა რას დაგიშავებსო“. აბა უცხომ რა იცოდა, როინის სახლში სად რა ინახებოდა. თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში ზუგდიდში მკურნალობდა. ბევრჯერ იყო დამწვრობის ცენტრში თბილისში. გარეგნულად თითქოს გამოკეთდა და მუშაობას აგრძელებდა ჩვეულებრივ რეჟიმში. ამ თემაზე საუბარს ყოველთვის თავს არიდებდა. ერთხელ ღიმილნარევი ხმით მითხრა: ხომ ხედავ, ფორმაში არა ვარ და რა მნიშვნელობა აქვს, მოდი, 55-ის ნაცვლად, გაისად 56 წლის იუბილე გადავიხადოთო.



არ დასცალდა სიცოცხლე ჩვენს როინს და 2007 წლის 7 იანვარს, შობას, დილით ადრე, საკუთარ სახლში უეცრად გარდაიცვალა. მისი სიკვდილი უდიდესი ტრავმა იყო ყველასათვის. როგორც ჩვენ, მეგობრებმა, ისე განიცადა ეს ტრაგედია მისმა ახლობლებმა და ოდიშ-სამურზაყანოს მთელმა საზოგადოებრიობამ.

ბევრი სიკეთე ჰქონდა დათესილი, ნამდვილი ვაჟკაცი იყო როგორც შესახედავად, ისე სულიერადაც. უამრავმა ხალხმა დაიტირა იგი, მათს შორის აფხაზებმაც. ყველგან ავტორიტეტით სარგებლობდა. წიგნიერი კაცი იყო, დიდი იუმორის გრძნობა ჰქონდა, უღალატო გახლდათ და საოცარ გულკეთილობას იჩენდა სხვების მიმართ. ნებისმიერ თემაზე შეიძლებოდა მასთან საუბარი, დაუფიქრებლად პასუხს არავის უბრუნებდა.

დაიბადა 1951 წლის 5 იანვარს გალის რაიონის სოფელ პირველ გალში (რეჩხში). დამთავრებული ჰქონდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომისტის სპეციალობით.

გაიარა შრომითი მოღვაწეობის თითქმის ყველა საფეხური: ახალგაზრდობის წლები ტყვარჩელში გაატარა, მუშაობდა კვების მრეწველობის ობიექტებში. 1986 წელს აირჩიეს ენგურჰესების კასკადის გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო 1991 წლიდან გარდაცვალებამდე ვარდნილჰესების კასკადის დირექტორის მოადგილე იყო. საინჟინრო-ენერგეტიკული განათლება არ ჰქონდა, მაგრამ მშვენივრად ერკვეოდა ტექნიკურ საკითხებში.

ერთმანეთი გავიცანით 1978 წელს, როდესაც ვმუშაობდი გალის რაიონის საბჭოს აღმასკომში და იქიდან მოყოლებული, თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში ვმეგობრობდით. თბილი ხასიათის იყო, აუღელვებლად აკეთებდა ყველაფერს. ზრდილობიანი და წესიერი კაცის სახელს ატარებდა. გამოირჩეოდა სიდარბაისლით, შესაშური ნებისყოფა ჰქონდა. იშვიათად ნახავდით მოწყენილს. ჭირში იქნებოდა თუ ლხინში, სხვისი გამხიარულება ადვილად შეეძლო. განვლილი ცხოვრების მანძილზე ბევრი გოგო მოაჯადოვა თავისი უბრალოებითა და ენამახვილური სიტყვებით, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის უჭირდა, ამიტომ ვერ შექმნა ოჯახი, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან.

5 იანვარს 65 წლის გახდებოდა. რა ჩქარა გარბის დრო, თურმე 9 წელი გასულა, რაც ჩვენს შორის არ არის ერთ-ერთი საუკეთესო პიროვნება და არაჩვეულებრივი მეგობარი **როინ შალვას ძე ალისანდია**. დაბადების ან გარდაცვალების დღეს ხშირად ვიკრიბებით მეგობრები სასაფლაოზე. გადაწყვეტილი გვაქვს მისი 65 წლის იუბილე აღვნიშნოთ სწორედ იქ, სადაც იგი განისვენებს.

როინი სულით წმინდა, უღალატო, ერუდირებული და მართლმადიდებელი იყო . ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული! მას არასოდეს დაივიწყებენ მეგობრები. მიუხედავად იმისა, გარკვეული დრო გავიდა გარდაცვალებიდან, მან დატოვა მოუშუშებელი ტკივილი.

ჩვენი საერთო მეგობრების: გენო გამისონიას, თამაზ ზარანდიას, დემურ ფირცხელავას, სლავა ქარდავასა და სხვების თხოვნით, ამ გაზეთის მეშვეობით კიდევ ერთხელ მინდა, გავახსენო როინ ალისანდიას სახელი თანაქალაქელებსა და კოლეგებს!

ნუგზარ სართანია

მეუღლე მარინა ხუფენია, შვილი ნატა, შვილიშვილი მარიამი, დები ციცინო, დარეჯან აფციაურები, სიძე გივი ნადაშვილი, დეიდაშვილები ანზორ მაისურაძე, გია ტყეშელაშვილი, თამარ ტყეშელაშვილი, მზია ვაწაძე, ბიძაშვილები ნათელა, ერნა, ნანული, ნანა, ნარგიზი, დიმიტრი, ფარნაოზ, დავით მოწონელიძეები ოჯახებით იუწყებიან

გივი ნიკოლოზის ძე

აფციაურის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30 XII, 17 სთ. დაკრძალვა 31 XII, ვაკის სასაფლაოზე. მისამართი: მიცკევიჩის 29ა.

◎ ინფორმაცია

„ხელფასს თუ არ გაგვიზრდით, ნაგავში ჩაისრჩობით!“

თბილისის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების ნაწილი გუშინ დილიდან გაიფიცა.

ისინი „თბილსერვისის“ ოფისთან შეიკრიბნენ და საპროტესტო აქცია გამართეს.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, მათ კუთვნილი მეცამეტე ხელფასი არასრულად ჩაერიცხათ.

ისინი ლარის დევალვაციის გამო ხელფასის 50%-ით მატებას ითხოვენ.

გარდა ამისა, აქციის მონაწილეები დასუფთავების სამსახურის ადმინისტრაციას ზეწოლაში ადანაშულებენ და ამბობენ, რომ გაფიცვის გამო ხელმძღვანელობა მათ სამსახურიდან დათხოვნით ემუქრება.

„უფროსმა დამირეკა ტელეფონზე, აქციაზე გახვალ და ჩათვალე, სამსახური აღარ გექნებაო. მე ამის არ მეშინია. დამირეკა დათო ბურჭულაძემ“, — აცხადებს აქციის ერთ-ერთი მონაწილე იოსებ მდივანი.

„თბილსერვისის“ ჯგუფის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი დავით ჩანქსელიანი გაფიცვას მართულ პროცესად აფასებს და ამბობს, რომ კომპანიის გაფიცული თანამშრომლების უფლებები არ დარღვეულა.

„კოლექტივი სრულად მუშაობს. დედაქალაქის ქუჩები დაგვილია, დასუფთავებულია. მიმდინარეობს ნარჩენების გატანაც. არ გაჩერებულა სამსახური და მთლიანობაში არის 30 კაცი 4 000 კაციდან ვინც არის გამოსული. მე ვფიქრობ, ეს არის მართული პროცესი უფრო და არა ის, რომ ამ ადამიანებს სამსახურმა რაიმე უფლებები დაურღვია. აქ არის რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც პირადი ინტერესები ამოძრავებთ“, — აცხადებს დავით ჩანქსელიანი.

№247. ხუთშაბათი, 31 დეკემბერი, 2015 წელი.

◎ დრო და ადამიანები

თბილისში საინტერესო საახალწლო ტრადიციები არსებობდა. დღესასწაული სახალხო მხიარულებითა და სეირნობებით, მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნებოდა — ეს ასეა დღესაც. თუმცა დროთა განმავლობაში გაქრა რამდენიმე წეს-ჩვეულება. ძველად, თბილისის მცხოვრებლები ახალი წლის ღამეს სახლის კარს ღიას ტოვებდნენ, რადგან ითვლებოდა, რომ ამ დროს შეიძლებოდა ბედნიერებას ჩამოევლო და თუ კარი დაკეტილი დახვდებოდა, ბედნიერება სახლს გვერდს აუვლიდა. განსაკუთრებული რიტუალი უკავშირდებოდა საახალწლო სუფრასაც — ტაბლას. ტკბილეულითა და ხილით დამშვენებული ტაბლის ოთხივე კუთხეში დიასახლისი საკუთარი ხელით ჩამოსხმულ სანთლებს ანთებდა. ახალი წლის შემობრძანებასთან ერთად ოჯახის უფროსი ტაბლით ხელში მთელს სახლს შემოუვლიდა. მოზეიმეებს სწამდათ, რომ ამ დროს მას თან მფარველი ანგელოზი დაჰყვებოდა, რომელსაც ოჯახისათვის კეთილდღეობა და ბარაქა მოჰქონდა.

ასე ზეიმობდნენ თბილისში

დრო გადის, ტრადიციები იცვლება და ახალ ჩვეულებებს ეყრება საფუძველი. მაგრამ ამის მიუხედავად, არ იცვლება ყველაზე მთავარი — ახალი წელი სიახლის, იმედისა და სიხარულის მომტანია. მთავარია, მას ღიმილით შევეგებოთ, რადგან ერთი ტრადიცია ნამდვილად უცვლელია და ყველა ადამიანს აერთიანებს — ესაა რწმენა იმისა, რომ ახალი წელიწადი ყველაზე სანუკვარი სურვილების ასრულებას დაუდებს დასაბამს.

საახალწლო ტრადიციები

საახალწლო რიტუალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა ნებისმიერი მათგანის მიზანი ერთია - მოზეიმეები დღესასწაულს ისე უნდა შეხვდნენ, რომ ახალმა წელიწადმა თითოეულ ოჯახს ბედნიერება, ჯანმრთელობა, ხვავი, ბარაქა, სიკეთე და სიხარული მოუტანოს. ახალ წელს საქართველოში ხშირად „ბასილის დღეს“ უწოდებდნენ, რადგან პირველ იანვარს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა ბასილი დიდს იხსენიებს. საახალწლოდ ცხვებოდა ადამიანის ფორმის პური ე.წ. „ბასილას კვერები.“

ახალი წლის ისტორია

საქართველოში ახალი წელი სხვადასხვა ეპოქაში წელიწადის სხვადასხვა დროს აღინიშნებოდა. შემორჩენილი ცნობების მიხედვით, IV საუკუნეში ახალ წელს 6 აგვისტოს ზეიმობდნენ. VII საუკუნიდან აგვისტოს სექტემბერი ჩაენაცვლა. IX ასწლეულის 20-იანი წლებიდან ახალი წლის ათვლა გაზაფხულის პირველი თვიდან — მარტიდან იწყება. იანვარში ახალი წლის დღესასწაული, საბოლოოდ, XIV საუკუნეში დამკვიდრდა. იანვარში დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციასთან ერთად, ფეხს იკიდებს უამრავი წეს-ჩვეულება

ალილოს ისტორია

საქართველოს ყველა კუთხეში შობის ბრწყინვალე დღესასწაულზე განსაკუთრებული განწყობა იგრძნობოდა. წირვის დასრულების შემდეგ, მგალობლები თითოული ჭიშკრის წინ ჩერდებოდნენ და ყველას ქრისტეშობას ულოცავდნენ. მათ თან დაჰქონდათ კალათები, რომლებსაც მოსახლეობა პროდუქტებით, ტკბილეულითა და სხვადასხვა ნივთებით ავსებდა. ალილოს მონაწილეთა მსვლელობა დიდხანს გრძელდებოდა, თუმცა მისი კულმინაცია შეგროვილი შესაწირის გაჭირვებული ოჯახებისთვის გადაცემა იყო. სწორედ ქველმოქმედება დაედო საფუძვლად ალილოს ტრადიციას.

ალილო საშობაო საგალობელია

ალილო ქართული საგალობელია, რომელიც შობის წინა ღამეს სრულდება. სწორედ საგალობლის სახელწოდება დაედო საფუძვლად საქართველოში საუკუნეების წინ დამკვიდრებულ საშობაო ტრადიციას. ეს ტრადიცია საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა - შობა დღეს ხალხი კარდაკარ დადიოდა და შესაწირს აგროვებდა, რომელსაც შემდეგ გაჭირვებულებს გადასცემდა. წლიდან წლამდე, საუკუნეების მანძილზე საქართველოში ალილოს მტკიცედ იცავდნენ.

ალილო დღეს

XX საუკუნეში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, ალილოს ტრადიცია დავიწყებას მიეცა, თუმცა 1990-იან წლებში იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ააღორძინა. აქედან მოყოლებული ყოველი წლის შობა დღეს, სადღესასწაულო ლიტურგიის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა ეკლესიის მრევლი გალობით უერთდება ალილოს საზეიმო მსვლელობას.

შეუერთდი ალილოს

ალილოს საზეიმო პროცესიას წინ სამღვდელოება მიუძღვის და შობის ხატს, საწინამძღვრო ჯვრებს და დროშებს მიაბრძანებს. მათ მგალობლები და მორწმუნეები მიჰყვებიან და გზადაგზა შესაწირს აგროვებენ. გალობით მიმავალ მრევლს გზადაგზა გამვლელებიც უერთდებიან. დიდი თუ პატარა საერთო სიხარულის მონაწილე ხდება. მსვლელობა სამების საკათედრო ტაძარში სრულდება, სადაც შეკრებილ მრევლს შობის დღესასწაულს კათოლიკოს-პატრიარქი ულოცავს და ლოცვას აღავლენს.

ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეუერთდეს ალილოს საზეიმო მსვლელობას — ეს მართლაც დაუვიწყარი და შთამბეჭდავი სანახაობაა.

◎ ინფორმაცია

შანტაჟი თუ დაშინება?

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი თბილისის ეროვნული პარკის დირექტორის ლევან კაპანაძის სამსახურებრივ ავტომანქანაში იარაღის აღმოჩენასთან დაკავშირებით მთავარ პროკურორს მიმართავს. როგორც მან საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, ეს ფაქტი 27 დეკემბერს გამოვლინდა. ლევან კაპანაძემ ავტომანქანაში 2 ხელყუმბარა და ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღის მჭიდი 30 ვაზნით აღმოაჩინა. აგულაშვილი ამას სამინისტროს მიერ უკანონობის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიის გამო შურისძიებას უკავშირებს.

„როგორც ჩანს, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა გადაწყვიტეს, შური იძიონ იმ საქმიანობაზე, რასაც ჩვენ ზოგადად და უშუალოდ და პირადად ლევანი, თბილისის ეროვნულ პარკში ვეწევით.

სამწუხაროა, რომ ეს არაა პირველი ფაქტი. ჯერ კიდევ გაზაფხულზე ლაგოდეხის რაიონში, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე, ადმინისტრაციის დირექტორის სამსახურებრივ ავტომანქანაში აღმოაჩინეს ხელყუმბარა წარწერით: „გაფრთხილებთ, წადი!“ მინდა თითოეული ასეთი ადამიანი გავაფრთხილო: ჩვენი სტრატეგია წესრიგის აღდგენაზე, კანონიერების დაცვაზე, ხე-ტყის უკანონო ჭრაზე, უკანონო ნადირობის წინააღმდეგ ბრძოლაზე გაგრძელდება. უნდა გავაფრთხილო ის ადამიანები, რომლებიც ასეთი განზრახვით მოქმედებენ: ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მსგავსი შემთხვევები აღიკვეთოს და ჩვენი კანონმორჩილი თანამშრომლების საქმიანობა დაცული იყოს“, — განაცხადა გიგლა აგულაშვილმა.

მისივე თქმით, თბილისის ეროვნულ პარკში მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრს ელაპარაკა.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 29 3-37-87

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— რა გადაწყვიტეთ ახალ წელთან დაკავშირებით? — ეკითხებიან სვანს.
— მოვიდეს!

* * *

ებრაელი თოვლის პაპა:
— აბა, ბავშვებო, იყიდეთ საჩუქრები!

* * *

— ძეთუშ, სად შეხვდი ახალ წელს?
— როგორც ყოველთვის, საწოლში..
— ხალხი ბევრი იყო?

* * *

რატომ გაშორდი ცოლს?
— არ ვიცი, მთელი სამი თვე ტვინს მიბურღავდა წუწუნით, არ გიყვარვარო.
— მერე?
— დამარწმუნა.

* * *

— პეტკა, რა ჰქვია იმას, სადაც წერია შენი ყველაზე სანუკვარი იმედები და სურვილები?
— სისხლის სამართლის კოდექსი?

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე